ბანკი ქართუ
CARTU BANK

წლიური

ანგარიში

ANNUAL REPORT 2021

შინაარსი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა	01
გენერალური დირექტორის მიმართვა	02
2022 წლის გეგმები	03
ბანკის მისია, ხედვა, ძირითადი ფასეულობები	04
ბანკის სტრუქტურა	05
ბანკის რეიტინგები	06
მოკლე ფინანსური ანგარიში	06
საკრედიტო მაჩვენებლები	07
კორექპონდენტი ბანკები	09
ბანკის ოფისები	10
აუდიტორული დასკვნა	11

Content

Address of the Chairperson of the Supervisory Board	01
Address of the Chief Executive Officer	02
2022 Plans	03
The Missions, Vision and core Values of the Bank	04
Bank Structure	05
Bank Raitings	06
Brief Financial Reports	06
Credit Indicators	07
Correspondent Banks	09
Bank Offices	10
Audit Opinion	11

ბანკი ქართუ
CARTU BANK

წლიური ანგარიში

ANNUAL REPORT 2021

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

Address of the Chairperson of the Supervisory Board



მოგესალმებით,

მოგეხსენებათ, რომ 2021 საკმაოდ რთული წელი იყო. COVID 19-ის მსოფლიო პანდემიის შედეგები აისახა არა მხოლოდ ჩვენს ბანკზე, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკაზე. მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ ღირსეულად გავართვით თავი მიმდინარე გამოწვევებს. ბანკის თანამშრომლები (რომელთა უმეტესობაც დისტანციურ რეჟიმში მუშაობდა) აქტიურად განაგრძობდნენ ჩვენი კლიენტების მომსახურებასა და მხარდაჭერას.

მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ѡბანკი 25 წლის გახდა. ეს იყო ცვლილებებითა და გამოწვევებით სავსე პერიოდი. გასული 25 წლის განმავლობაში ბანკმა ქართუმ ღირსეულად შეასრულა თავისი მისია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

სს ,,ბანკი ქართუს'' სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მადლობას ვუხდი კლიენტებს პარტნიორული ურთიერთობებისთვის და თანამშრომლებს - ერთგული სამსახურისთვის. ამ ყოველივემ ერთობლიობაში მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბანკის სტაბილური განვითარება და წარმატება.

ბანკის თანამშრომლებსა და სრულიად საქართველოს ვუსურვებ ჯანმრთელობას და ფინანსურ სიძლიერეს.

Ladies and Gentlemen!

You know that 2021 was fairly hard. The COVID 19 pandemic affected not only our Bank but the national economy in its entirity. However, we managed to meet the challenges. The staff of the Bank, who mostly worked online, continued servicing our clients.

I'm glad to say that last year marked 25 anniversary of the Bank. All those years were full of changes and challenges. Cartu Bank fulfilled its mission and contributed significantly to the progress of the Georgian economy.

On behalf of the Supervisory Board of Cartu Bank JSC, I would like to say "Thank You" to our clients for their partnership and the staff for their loyalty. I should say that both of those factors determined the stability and success of the Bank.

I wish our staff and the rest of Georgia good health and financial stability.

გენერალური დირექტორის მიმართვა

Address of the General Director



ქალბატონებო და ბატონებო,

მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო პანდემიამ საქართველოზეც მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა. 2021 წელი გამოწვევებით იყო დატვირთული, მაგრამ ბანკმა ფეხი აუწყო არსებულ გარდამავალ პერიოდს და მოერგო ახალ რეალობას.

2021 წლის მოვლენები, რა თქმა უნდა, აისახა ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზეც. წინა წლებთან შედარებით შემცირდა მთლიანი აქტივებისა და სესხების, სადეპოზიტო პორტფელის მონაცემები, თუმცა, 2020 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანკის წმინდა მოგება (2020 წელი - 9.8 მლნ ლარი, 2021 წელი - 26.7 მლნ ლარი), რაც აღემატება 2019 წლის მონაცემსაც (22.3 მლნ ლარი). ასევე, ზრდა არის დაფიქსირებული სამუალო წლიური საკუთარი კაპიტალისა და საშუალო წლიური აქტივების მონაცემებშიც. ეს ყოველივე კი დადებით ტენდენციებზე მეტყველებს.

2021 წლის 20 აგვისტოს სარეიტინგო კომპანია S&P Global Rating-ის ჩატარებული კვლევის შედეგად ბანკს მიენიჭა გრძელვადიანი და მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგი - B, სტაბილური პერსპექტივა "ქვეყნის ზედა ზღვარი" - BB.

ჩვენთვის საამაყოა, რომ ბანკს თავისი მოღვაწეობის 25 წელი შეუსრულდა. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი გუნდის თითოეული წევრი მუხლჩაუხრელად მუშაობდა, რომ მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიგვეღო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მე მადლობას ვუხდი ჩვენს თითოეულ არსებულ თუ ყოფილ თანამშრომელს, რომელთა დამსახურებაა, რომ ბანკი სტაბილურ ადგილს იკავებს საქართველოს საბანკო სფეროში და მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში.

Ladies and Gentlemen!

You know that the pandemic significantly affected Georgia like the rest of the world. 2021 was full of challenges but the Bank adapted to the transitional period and the new reality.

Understandigly, the developments in 2021 affected the financial indicators of the Bank. Compared to the previous years, the asset, credit and deposit portfolios decreased but compared to 2020, the net profit of the Bank increased significantly (2020 – 9.8 M GEL, 2021 – 26.7 M GEL), which is over the net profit the Bank gained in 2019 (22.3 M GEL). The average annual own capital and assets increased, too, which incidates a positive trend.

As a result of the survey conducted by S&P Global Rating on 20 August 2021, the Bank was assigned the long- and short-term credit rating B, stable perspective "Upper Country Limited" – BB.

2021 highlighted the 25 anniversary of the Bank. For all those years, our team worked relentlessly in order to contribute to the national economy. I say "Thank You" to our present and former staff for it is due to their efforts that the Bank secures a stable position in the national banking industry and is closely engaged in the development of the other economic sectors, as well.

2022 წლის გეგმები
2022 Plans

2022 წელი მნიშვნელოვანი წელი იქნება ბანკი ქართუსთვის. პანდემიამ დაგვანახა, თუ რამდენად აუცილებელია დისტანციური მომსახურების განვითარება. აქედან გამომდინარე, ბანკი აქტიურად აპირებს მუშაობას ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების განვითარების მიმართულებით. იგეგმება ახალი პროდუქტების დანერგვა და არსებულის დახვეწა-გაუმჯობესება:

2022 is going to be important to Cartu Bank. The pandemic made it clear how significant remote service is. Therefore, the Bank intends to further develop the digital products and services. We are going to introduce some new products and upgrade the ones in place:

1 ელექტრონული კომერცია - ბანკი ქართუ იყო პირველი ბანკი საქართველოში, რომელმაც დანერგა ელექტრონული კომერცია (2005-2007 წლებში) და ამ წლების მანძილზე თავის მომხმარებლებს სთავაზობს მაღალი ხარისხის მომსახურებას. 2022 წელს კი იგეგმება აღნიშნული პროდუქტის კიდევ მეტად განვითარება.

E-commerce – Cartu Bank was the first in Georgia to introduce e-commerce in 2005-2007 and has offered top quality service ever since. We are going to develop the product in 2022.

2 ვგეგმავთ ინტერნეტ ბანკის ფუნქციონალის გაფართოებას, მომხმარებელს საშუალება ექნება დისტანციურად გახნას ანგარიში. ასევე, განიხილება სხვა მომსახურების დამატებაც.

We are planning to expand our Internet bank feature set. The customers will be able to open accounts online. We are considering some other services, as well.

3 2022 წელს ბანკი გეგმავს ცენტრალური სერვისცენტრის განყოფილების გახსნას ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქ. # 2-ში მდებარე პრემიუმ კლასის სასტუმროში.

In 2022, the Bank is planning to open its central service center branch in the premium class hotel located in #2 L. Gudiashvili Str., Tbilisi.

ბანკის მისია, ხედვა, ძირითადი ფასეულობები

Mission, Vision and Core Values of the Bank

მისია
Mission

ჩვენი მისიაა, უმაღლესი ხარისხის ექსკლუზიური საფინანსო მომსახურების გზით განსაკუთრებული წვლილი შევიტანოთ ქვეყნის მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში.

Our mission is to make substantial contribution to the strategic fields of Georgian economy, by providing leading companies with superior quality and exclusive financial services.

ხედვა
Vision

სს „ბანკი ქართუ“ გახდება გამორჩეული საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც:

- საქართველოში შექმნის კორპორატიული კლიენტების ექსკლუზიური მომსახურების სტანდარტს
- აქტივების მოცულობით სტაბილურ ადგილს დაიკავებს საბანკო სისტემის ლიდერთა შორის
- დაკომპლექტებული იქნება მაღალკვალიფიციური და მოტივირებული კადრებით
- განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და ბიზნესის განვითარებაში
- სტაბილურად გაზრდის საკუთარ ღირებულებებს როგორც აქციონერთა, ასევე კლიენტებისთვის, რაც დადებითად იმოქმედებს ზოგადად ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე

Cartu Bank aims to become an outstanding financial institution that will:

- Set exclusive standards for financial services for the leading corporate clients in Georgia
- Gain strong position among the leader players of Georgian Banking Sector
- Have highly qualified, motivated and committed team
- Make substantial contribution to the growth of Georgian economy, development of businesses and improvement of living standards for the community
- As the result, Bank will significantly increase its value for its shareholders as well as for the customers, employees and the whole society

ძირითადი ფასეულობები
Core values

- მაღალი ხარისხის მომსახურება და თითოეული კლიენტისადმი ლოიალური დამოკიდებულება
- საბანკო პროდუქტების სრულყოფილი და მრავალფეროვანი პაკეტი
- მომხმარებელზე მორგებული თანამედროვე და ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტილებები
- პროფესიონალი კადრები

- Prime quality services and full range of proficient banking products
- Customer's high loyalty
- Customer oriented modern and innovative financial solutions
- Highly qualified, motivated and success-oriented team

ბანკის სტრუქტურა 2021
Structure of the Bank 2021

სამეთვალყურეო საბჭო
Supervisory Board

ნიკოლოზ ჩხეტიანი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	Nikoloz Chkhetiani Chairman of the Supervisory Board
ბესიკ დემეტრაშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	Besik Demetrashvili Member of the Supervisory Board
თეა ჯოხაძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	Tea Jokhadze Member of the Supervisory Board
თემური კობახიძე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	Temuri Kobakhidze Independent Member of the Supervisory Board
ზაზა ვერძეული სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	Zaza Verdzeuli Independent Member of the Supervisory Board

აღმასრულებელი მენეჯმენტი
Board of Directors

ნატო ხაინდრავა გენერალური დირექტორი	Nato Khaindrava Chief Executive Officer (CEO)
გივი ლებანიძე ფინანსური დირექტორი	Givi Lebanidze Chief Financial Officer (CFO)
დავით გალუაშვილი ოპერაციების დირექტორი	David Galuashvili Chief Operations Officer (COO)
ზურაბ გოგუა კომერციული დირექტორი	Zurab Gogua Chief Commercial Officer (CCO)
ბექა კვარაცხელია რისკების დირექტორი	Beka Kvaratskhelia Chief Risks Officer (CRO)

ბანკის რეიტინგები
Bank Ratings

S&P Global Ratings

2021 წლის 20 აგვისტოს ბანკს S&P Global Ratings-ის მიერ მიენიჭა:

- პერსპექტივა - სტაბილური
- გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი - B
- მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგი - B
- ქვეყნის "ზედა ზღვარი" - BB

On 20 August 2021, S&P Global Ratings assigned the Bank the ratings below:

- Stable Perspective
- Long-term Credit rating – B
- Short-term Credit rating – B
- “Upper Country Limit” – BB

მოკლე ფინანსური ანგარიში
Brief Financial Report

ბანკი ქართუს ბოლო 3 წლის ძირითადი ფინანსური მონაცემები არის შემდეგი:

The table below sets out Cartu Bank’s key financial data for the last 3 years:

ათას ლარებში/ In Gel ‘000	2019	2020	2021
მთლიანი აქტივები/ Total Assets	1,336,887	1,543,470	1,352,134
წმინდა სესხები/ Net Loans	879,329	1,031,840	917,931
მთლიანი ვალდებულებები/ Total liabilities	1,013,456	1,204,787	999,249
სადეპოზიტო პორტფელი/Deposit Portfolio	778,274	976,190	877,321
საკუთარი კაპიტალი/ Own Capital	323,431	338,683	352,885
სულ შემოსავლები/ Total Income	108,083	119,736	104,326
სულ ხარჯები/ Total costs	85,769	109,905	77,669
წმინდა მოგება/ზარალი/ Net Profit/Loss	22,314	9,831	26,657
თანამშრომელთა რაოდენობა/ Number of Staff	333	330	322
საშუალო წლიური საკუთარი კაპიტალი/ Average Annual Capital	334,774	331,057	345,784
საშუალო წლიური აქტივები/ Average Annual Assets	1,275,191	1,440,178	1,447,802

საკრედიტო მაჩვენებლები
CREDIT INDICATORS

არსებობის 25 წლის განმავლობაში, ბანკი ძირითადად ოპერირებდა საშუალო და მსხვილი ბიზნესის დაკრედიტების სფეროში. მსგავსი ტენდენცია გაგრძელდა 2021 წელსაც (საკრედიტო პორტფელის მხოლოდ 2.6% წარმოადგენს საცალო სესხებს).

ბანკ ქართუს ჰყავს ერთგული კლიენტები, რომლებთანაც წლების განმავლობაში თანამშრომლობს და არის მათი წამოწყებების აქტიური მხარდამჭერი, რაც, რა თქმა უნდა, განაპირობებს მათთან გრძელვადიან ურთიერთობას. ამავდროულად, ბანკი დაინტერესებულია და აფინანსებს ახალ პერსპექტიულ პროექტებს.

ბანკი ქართუ ყოველთვის აქტიურად უჭერდა მხარს ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ეს აისახება კიდეც ბანკის საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაზე - მთლიან პორტფელში ყველაზე დიდი ნილი - 29%, სწორედ წარმოებას უჭირავს, შემდეგ კი მოდის მომსახურება - 26%, უძრავი ქონება და მშენებლობა - 21%, ვაჭრობა - 14%, სოფლის მეურნეობა- 4%, სამომხმარებლო და სხვა სექტორები - 7%.

"Cartu Bank" JSC has mainly involved in the mid-size and corporate business crediting segment. The trend continued in 2021, as well (retail credits make up merely 2.7 % of the total credit portfolio). Stable development of businesses in Georgia has an important impact on our partnership and loyalty with our clients safeguard long-term relationships.

On a smaller scale, the Bank participated in the investment market with two companies worth 5 M USD and 3 M GEL.

Over the last 25 years, "Cartu Bank" JSC has been mainly involved in the mid-size and corporate business crediting segment. The trend continued in 2021, as well (retail credits make up merely 2.6% of the total credit portfolio).

We have our loyal customers that we've supported for years. In our view, partnership and loyalty to our clients safeguard long-term relationships. At the same time, the Bank is keen on funding the new promising projects.

Cartu Bank has always supported local poduction as the structure of our credit portfolio shows: the production makes up 29%, the largest share of the portfolio followed by service -26%, real property and consturction - 21%, commerce - 14%, agriculture - 4%, consumer and other sectors - 7%.

მაჩვენებლები 31.12.2021-ის მდგომარეობით
INDICATORS AS OF 31.12.2021

ამ ეტაპისთვის საინვესტიციო ბაზარზე ბანკი ქართუ ფლობს 2 კომპანიის ობლიგაციებს - 5 მლნ აშშ დოლარისა და 3 მლნ ლარის ოდენობით.

At present Cartu Bank holds bonds of two companies operating at the investment market worth 5 M USD and 3 M GEL respectively.

ობლიგაციები
18.5 მლნ ლარი
CORPORATE BONDS
18.5 M GEL

დოკუმენტური ოპერაციები
30.9 მლნ ლარი
DOCUMENTARY OPERATIONS
30.9 M GEL

წმინდა სესხები
806 მლნ. ლარი
NET LOANS
806 M GEL

როგორც წინა წლებში, ბანკი 2021 წელსაც აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო პროგრამებში:

„შეღავათიანი აგროკრედიტი“

პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ჯამურმა პორტფელმა 31.12.2021 წლის მდგომარეობით 46.6 მლნ ლარი შეადგინა.

„აწარმოე საქართველოში“

არის შემდეგი მიმართულებები:

- **ინდუსტრიული ნაწილი**

  ხელს უწყობს საქართველოში წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარებას, ახალი საწარმოების შექმნას, არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღებას.

- **სასტუმრო ინდუსტრიის ნაწილი**

  ამ ნაწილის მიზანია, განავითაროს სასტუმროების ბიზნესი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გარდა ქ. თბილისისა და ქ. ბათუმისა. თანადაფინანსების მექანიზმის პირობები არეგულირებს სასტუმროს, ტურისტული სერვისების, აგრო და ეკო ტურისტული ინდუსტრიების საქმიანობებს.

- **ბიზნეს უნივერსალი**

  2021 წლის 2 სექტემბერს ბანკი ჩაერთო "აწარმოე საქათველოში" პროექტის ახალ მიმართულებაში - "ბიზნეს უნივერსალი". პროგრამის მიზანია ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მეწარმე სუბიექტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ორი მექანიზმით ერთდროულად, კერძოდ, სესხის თანადაფინანსების და სესხის უზრუნველყოფის კომპონენტებით.

- **საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი**

  პროექტის მიზანია, გაზარდოს დაფინანსების ხელმისაწვდომობა იმ არსებული ბიზნესებისა თუ სტარტაპებისთვის, რომელთაც არ აქვთ საკმარისი უზრუნველყოფა.

- **სუბსიდირებული იპოთეკური სესხი**

  ბანკი პროგრამაში ჩაერთო 2021 წლის 2 სექტემბერს. პროგრამა გულისხმობს იპოთეკურ კრედიტებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სუბსიდირებას 5 წლის მანძილზე.

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის ყველა მიმართულების ჯამურმა პორტფელმა 31.12.2021 წლის მდგომარეობით 17.6 მლნ ლარი შეადგინა.

Similarly to the previous years, in 2021 the Bank was closely engaged in the State-run programs:

„Preferential Agro Credit"

Designed for supporting the primary production in the agricultural sector, processing and storage of the agricultural products by providing the legal entities and natural persons cheap and affordable financial resources.

The total portfolio of the project as of 31.12.2021 is 46.6 M GEL.

"Produce in Georgia"

program has several directions:

- **Industry**

  Supports local industries by crediting the industrial start-ups focused on producing in Georgia and enlargement/re-equipment of the ones in place.

- **Hospitality**

  Aims at the development of hotel business in the region not only in the capital Tbilisi or Batum. Co-financing regulates the operations of the hotels, tourism services, agro- and eco-tourism etc.

- **Business Universal**

  On 2 September 2021, the Bank got involved in the business universal, a new direction of the "Produce in Georgia" project. The objective of the program is to support start-ups/ expansion/re-equipment of the opearting companies, giving them an opportunity to get co-financing of their credits and the security of loans.

- **The Credit Guarantee Scheme**

  The project aims at better accessibility of financing the operating businesses and start-ups short of resources.

- **Subsidized Mortgage Loan**

  On 2 September 2021, the Bank got involved in the program, which envisages subsidizing interests charged to the mortgage loans for 5 years.

As of 31.12.2021, the total portfolio of the "Produce in Georgia" project was 17.6 M GEL.

კორესპონდენტი ბანკები (31.12.2021)
Correspondent Banks (31.12.2021)

Curr	Correspondent Bank	SWIFT/BIC	Account No
CHF	JSC Bank of Georgia Tbilisi, GE	BAGAGE22	GE92BG0000000755204100
CAD	JSC Bank of Georgia Tbilisi, GE	BAGAGE22	GE92BG0000000755204100
EUR	JSC Bank of Georgia Tbilisi, GE	BAGAGE22	GE92BG0000000755204100
USD	JSC Bank of Georgia Tbilisi, GE	BAGAGE22	GE92BG0000000755204100
GBP	JSC Bank of Georgia Tbilisi, GE	BAGAGE22	GE92BG0000000755204100
NOK	JSC Bank of Georgia Tbilisi, GE	BAGAGE22	GE92BG0000000755204100
JPY	JSC Bank of Georgia Tbilisi, GE	BAGAGE22	GE92BG0000000755204100
EUR	LANDESBANK BADEN WUERTTEMBERG, Stuttgart, GE	SOLADEST	2807940
EUR	KT Bank AG Frankfurt, GE	KTAGDEFF	DE36502345000300600020
EUR	JSC TBC Bank Tbilisi, Georgia	TBCBGE22	GE66TB0000016935130069EUR
USD	JSC TBC Bank Tbilisi, Georgia	TBCBGE22	GE66TB0000016935130069EUR
RUB	Ardshinbank CJSC Yerevan, AM	ASHBAM22	2470053460740020
AMD	Ardshinbank CJSC Yerevan, AM	ASHBAM22	2470053460740000
USD	Ardshinbank CJSC Yerevan, AM	ASHBAM22	2470053460740010
USD	Yinzhou Bank Ningbo, China	YZBKCN2N	81011614304014763
EUR	Yinzhou Bank Ningbo, China	YZBKCN2N	81011638304012640
RMB	Yinzhou Bank Ningbo, China	YZBKCN2N	81011601304010267
RUB	ZAO Raiffeisenbank, Moscow	RZBMRUMM	30111810200000000002
EUR	JSC Unistreambank, Moscow, Russia	UMTNRUMM	30111978600000000297
USD	JSC Unistreambank, Moscow, Russia	UMTNRUMM	30111840000000000297

ბანკის ოფისები

თბილისი/Tbilisi

ცენტრალური სერვისცენტრი
Central Service Center
ი. ჭავჭავაძის გამზ., N39ა
39a I. Chavchavadze Ave.

ვაკის სერვისცენტრი
Vake Service Center
ი. აბაშიძის ქ., N24
24 I. Abashidze Str.

საბურთალოს სერვისცენტრი
Saburtalo Service Center
პეკინის ქ., N14ბ
14b Pekini Str.

მთაწმინდის სერვისცენტრი
Mtatsminda Service Center
ვ. ვეკუას ქ., N1
#1 V. Vekua Str.

ისნის სერვისცენტრი
Isani Service Center
ქეთევან დედოფლის გამზ./
ბოჭორმის ქ. N50/18
50/18 Queen Ketevan Ave./Bochorma Str.

რეგიონები/Regions

ბათუმის სერვისცენტრი
Batumi Service Center
ა. გრიბოედოვის ქ., N2
2 A. Griboedov Str.

ბათუმის სერვისცენტრის შეკვეთილის განყოფილება
Batumi Service Center
Shekvetili Section
Paragraph resort & spa Shekvetili,
Autograph Collection Hotels

ქუთაისის სერვისცენტრი
Kutaisi Service Center
ზ. ფალიაშვილის ქ., N4
4 Z. Paliashvili Str.

გორის სერვისცენტრი
Gori Service Center
სტალინის გამზ., N10
10 Stalini Ave.

თელავის სერვისცენტრი
Telavi Service Center
ი. ჭავჭავაძის მოედანი
I. Chavchavadze Sq.

სს „ბანკი ქართუ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 4
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 8
2. მომზადების საფუძველი 8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 23
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 25
7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები 26
8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 33
9. ძირითადი საშუალებები 36
10. აქტივის გამოყენების უფლება 36
11. არამატერიალური აქტივები 37
12. სხვა აქტივები და ვალდებულებები 38
13. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 39
14. ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ 39
15. სუბორდინირებული ვალი 40
16. გადასახადები 42
17. საკუთარი კაპიტალი 43
18. პირობითი ვალდებულებები 44
19. საკრედიტო ზარალის ხარჯი და სხვა გაუფასურება და ანარიცხები 46
20. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი და ხარჯი 47
21. სხვა შემოსავალი, წმინდა 47
22. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი 48
23. რისკის მართვა 49
24. სამართლიანი ღირებულების შეფასება 63
25. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 66
26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 67
27. კაპიტალის ადეკვატურობა 68
28. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები 69

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ქართუ ბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ქართუ ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს *„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“* (*დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით*) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

Building a better working world

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.
ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2022 წლის 16 მაისი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2021*	*2020*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	82,904	138,401
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	195,855	211,683
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	917,931	1,031,840
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	51,266	62,338
ძირითადი საშუალებები	9	12,934	11,939
აქტივის გამოყენების უფლება	10	2,767	4,184
არამატერიალური აქტივები	11	3,913	3,561
მოგების გადასახადის აქტივები		–	7,333
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი	16	9	83
სხვა აქტივები	12	84,555	72,108
სულ აქტივები		**1,352,134**	**1,543,470**
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	13	15	9
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	14	877,321	976,190
ანარიცხები		2,335	2,445
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		3,211	–
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	16	5,579	6,303
საიჯარო ვალდებულებები	10	3,171	4,575
სხვა ვალდებულებები	12	10,636	16,226
სუბორდინირებული ვალი	15	96,981	199,039
სულ ვალდებულებები		**999,249**	**1,204,787**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	114,430	114,430
დამატებით შეტანილი კაპიტალი	17	25,764	17,845
გაუნაწილებელი მოგება		211,766	205,601
ბანკის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი		**351,960**	**337,877**
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		925	806
სულ საკუთარი კაპიტალი		**352,885**	**338,683**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1,352,134**	**1,543,470**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2022 წლის 16 მაისს:

ნატო ხაინდრავა — გენერალური დირექტორი

გივი ლებანიძე — ფინანსური დირექტორი

8-69 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2021*	*2020*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	82,904	138,401
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	195,855	211,683
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	917,931	1,031,840
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	51,266	62,338
ძირითადი საშუალებები	9	12,934	11,939
აქტივის გამოყენების უფლება	10	2,767	4,184
არამატერიალური აქტივები	11	3,913	3,561
მოგების გადასახადის აქტივები		–	7,333
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივი	16	9	83
სხვა აქტივები	12	84,555	72,108
სულ აქტივები		**1,352,134**	**1,543,470**
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	13	15	9
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	14	877,321	976,190
ანარიცხები		2,335	2,445
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		3,211	–
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	16	5,579	6,303
საიჯარო ვალდებულებები	10	3,171	4,575
სხვა ვალდებულებები	12	10,636	16,226
სუბორდინირებული ვალი	15	96,981	199,039
სულ ვალდებულებები		**999,249**	**1,204,787**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	17	114,430	114,430
დამატებით შეტანილი კაპიტალი	17	25,764	17,845
გაუნაწილებელი მოგება		211,766	205,601
ბანკის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი		**351,960**	**337,877**
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		925	806
სულ საკუთარი კაპიტალი		**352,885**	**338,683**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1,352,134**	**1,543,470**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2022 წლის 16 მაისს:

ნატო ხაინდრავა — გენერალური დირექტორი

გივი ლებანიძე — ფინანსური დირექტორი

8-69 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2021*	*2020*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		86,980	86,704
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		5,942	5,676
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		1,542	1,408
სხვა საპროცენტო შემოსავალი		103	61
		94,567	**93,849**
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(14)	(61)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ		(25,674)	(21,458)
სუბორდინირებული ვალი		(9,291)	(12,287)
საიჯარო ვალდებულებები		(374)	(486)
		(35,353)	**(34,292)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**59,214**	**59,557**
საკრედიტო ზარალის ხარჯი პროცენტიან აქტივებზე	19	(378)	(45,770)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის ხარჯის გაწევის შემდეგ		**58,836**	**13,787**
საკომისიო შემოსავალი	20	7,129	5,864
საკომისიო ხარჯი	20	(5,335)	(4,738)
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:			
- *გარიგებები*		5,676	5,698
- *საკურსო სხვაობები*		(10,876)	13,384
სხვა შემოსავალი, წმინდა	21	13,165	5,681
არასაპროცენტო შემოსავალი		**9,759**	**25,889**
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	22	(14,298)	(13,852)
სხვა საოპერაციო ხარჯები	22	(16,024)	(10,458)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10,11	(4,415)	(4,305)
სხვა გაუფასურება და ანარიცხები	19	(3,835)	(2,463)
არასაპროცენტო ხარჯი		**(38,572)**	**(31,078)**
დასაბეგრი მოგება		**30,023**	**8,598**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	16	(3,366)	1,234
წმინდა მოგება პერიოდის განმავლობაში		**26,657**	**9,832**
სხვა სრული შემოსავალი		**(375)**	**242**
წლის სრული შემოსავალი		**26,282**	**10,074**
მიკუთვნებადი შემდეგი პირებისთვის:			
ბანკის აქციონერები		26,539	9,690
არასაკონტროლო პაკეტების მფლობელები		118	142
		26,657	**9,832**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	ბანკის აქციონერებისთვის მიკუთვნებადი					
	სააქციო კაპიტალი	*დამატებით შეტანილი კაპიტალი*	*გაუნაწილებელი მოგება*	*სულ*	*არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები*	*სულ საკუთარი კაპიტალი*
1 იანვარი, 2020 წ.	**114,430**	**12,667**	**195,670**	**322,767**	**664**	**323,431**
წმინდა მოგება	–	–	9,690	**9,690**	142	**9,832**
წლის სხვა სრული შემოსავალი (მე-8 შენიშვნა)			242	**242**	–	**242**
წლის სრული შემოსავალი	**–**	**–**	**9,932**	**9,932**	**142**	**10,074**
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მე-15 შენიშვნა)	–	5,178	–	**5,178**	–	**5,178**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**114,430**	**17,845**	**205,602**	**337,877**	**806**	**338,683**
წლის წმინდა მოგება	–	–	26,539	**26,539**	118	**26,657**
წლის სხვა სრული შემოსავალი (მე-8 შენიშვნა)	–	–	(375)	**(375)**	–	**(375)**
წლის სრული შემოსავალი	–	–	**26,164**	**26,164**	**118**	**26,282**
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები (მე-17 შენიშვნა)			(20,000)	**(20,000)**	–	**(20,000)**
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მე-15 შენიშვნა)	–	7,919	–	**7,919**	–	**7,919**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**114,430**	**25,764**	**211,766**	**351,960**	**925**	**352,885**

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2021*	*2020*
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები: დასაბეგრი მოგება		**30,023**	**8,598**
არაფულადი მუხლების კორექტირებები:			
პროცენტიან აქტივებზე გაუფასურების ზარალის ანარიცხების შექმნა	19	378	45,770
უპროცენტო აქტივებზე გაუფასურების ზარალის ანარიცხების შექმნა	19	274	3,510
ანარიცხები და სხვა ოპერაციები	19	136	(1,047)
დასაკუთრებული ქონები გაუფასურება	19	3425	-
მოდიფიკაციით განპირობებული ზარალი	7	424	2,432
წმინდა შემოსულობა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	21	(13)	(28)
წმინდა შემოსულობა დასაკუთრებული აქტივების რეალიზაციიდან	21	(10,167)	(2,848)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	9,10,11	4,415	4,305
დარიცხული პროცენტის ცვლილება, წმინდა		(692)	(22,669)
შემოსულობა უცხოური ოპერაციებიდან საკურსო სხვაობის გამო		10,876	(13,384)
შემომავალი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**39,079**	**24,639**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		2,408	(16,604)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		81,699	(75,600)
სხვა აქტივები		(45,026)	(7,757)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		8	(6)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ		(48,009)	87,408
სხვა ვალდებულებები		(5,513)	5,206
საოპერაციო საქმიანობიდან დასაბეგრი ფულადი ნაკადების შემოდინება/(გადინება)		**24,646**	**17,286**
მოგების გადახდილი გადასახადი		–	(6,672)
საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება/(გადინება)		**24,646**	**10,614**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები	9	(2,593)	(687)
არამატერიალური აქტივების შეძენა	11	(1,743)	(451)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	9	14	8
შემოსავალი დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან		18,028	8,488
შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	8	10,060	29,575
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	8	(60)	(36,667)
შემოსავალი სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	8	6,054	-
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა	**8**	(6,054)	(9,000)
საინვესტიციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების (გადინება)/შემოდინება		**23,706**	**(8,734)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:			
დივიდენდების გადახდა		(20,000)	–
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	15	(86,631)	(32,233)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	10	(1,414)	(1,263)
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით ფულადი ნაკადების გადინება		**(108,045)**	**(33,496)**
სავალუტო კურსის მერყეობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		4,196	22,419
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		**(55,497)**	**(9,197)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	138,401	147,598
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	5	**82,904**	**138,401**

არსებითი არაფულადი ოპერაციები

- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა აქტივების ცვლილება მოიცავს 20,488 ლარის ოდენობის უზრუნველყოფის საგნების დასაკუთრებას (2020 წლის 31 დეკემბერი: 8,078 ლარი).
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული ვალის ნაშთის ცვლილება მოიცავს დამატებით შეტანილი კაპიტალის ზრდის სახით ასახულ 7,919 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: 5,178 ლარი).

8-69 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“ (შემდგომში - „ბანკი“) საქართველოში 1996 წელს დაფუძნდა. ბანკი იმართება საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - „სებ“) მიერ და თავის საქმიანობას ახორციელებს #229 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითადი საქმიანობაა კომერციული ოპერაციები, სესხებისა და გარანტიების გაცემა, ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელება და უცხოური ვალუტით ვაჭრობა და ანაბრების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 39ა.

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თბილისში ფუნქციონირებდა ბანკის ხუთი სერვისცენტრი, შეკვეთილში – განყოფილება, ხოლო გორში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში – თითო სერვისცენტრი.

ბანკი წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში - „ჯგუფი“) მშობელ კომპანიას, რომელიც მოიცავს შემდეგ საწარმოებს:

	წილობრივი მონაწილეობა (%)			
სახელწოდება	*საქმიანობის ქვეყანა*	*2021*	*2020*	*საქმიანობის ტიპი*
შპს „ქართუ ბროკერი“	საქართველო	100.00%	100.00%	საბროკერო საქმიანობა
სს „სადაზღვევო კომპანია ქართუ“	საქართველო	91.39%	91.39%	დაზღვევა
შპს „საინვესტიციო კომპანია ქართუ ინვესტი“	საქართველო	100.00%	100.00%	დროებით უმოქმედო
შპს „ჯეოპლასტი“	საქართველო	100.00%	100.00%	დროებით უმოქმედო

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“ ან „აქციონერი“) ფლობდა ჯგუფის აქციების 100%-ს. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა უტა ივანიშვილი, ბიძინა ივანიშვილის ვაჟი.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მშობელი ბანკის მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. მფლობელებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ მისი გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

ჯგუფმა თავისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის სწრაფი გავრცელების გამო, რომელიც 2021 წელსაც გაგრძელდა, ბევრი ქვეყნის მთავრობამ, მათ შორის საქართველოს მთავრობამაც, შემოიღო ზომები პანდემიასთან საბრძოლველად. ეს ზომები მოიცავს მოგზაურობაზე შეზღუდვებს, კარანტინს, ბიზნესების დახურვას და გარკვეული ადგილების მასშტაბურ ჩაკეტვას. ამ ზომებმა გავლენა მოახდინა გლობალურ მიწოდების ჯაჭვზე, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და ბიზნესსაქმიანობის მასშტაბზე. როგორც მოსალოდნელია, თავად პანდემია და მასთან დაკავშირებით მიღებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური ზომები გავლენას მოახდენენ სხვადასხვა სფეროში მოქმედი საწარმოების საქმიანობაზე.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო ქვეყნის მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამა შეიმუშავეს. პროგრამაში შედის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა დაზარალებული დარგებისა და პირების სესხების სუბსიდირება, გადახდების გადავადება და გარკვეული სავალდებულო შეზღუდვების მოხსნა, რათა ფინანსურმა სექტორმა შეინარჩუნოს რესურსების მოწოდების უნარი, ხოლო მომხმარებლებმა თავიდან აიცილონ კოვიდ-19-ის გამო გამკაცრებული ზომების შედეგად ლიკვიდურობის დეფიციტი.

ჯგუფი აგრძელებს თავის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე პანდემიისა და ცვალებადი ეკონომიკური პირობების გავლენის შეფასებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ჯგუფმა პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება: მეორე ფაზის ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში (ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის შესწორება - მე-2 ფაზა)

ცვლილებები ითვალისწინებს დროებით შეღავათებს, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების ეფექტებს, როდესაც ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსები ჩანაცვლდება თითქმის ურისკო საპროცენტო განაკვეთით. ეს ცვლილებები მოიცავს შემდეგ გამარტივებული მიდგომებს:

- გამარტივებულ მიდგომას სახელშეკრულებო ცვლილებებთან ან იმ ფულად ნაკადებში შესულ ცვლილებებთან მიმართებით, რომელთა ასახვასაც პირდაპირ მოითხოვს ცვლილება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების სახით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ეკვივალენტურად
- უფლებას იძლევა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის შესწორებით განპირობებული ცვლილებები შევიდეს ჰეჯირებად კლასიფიკაციებსა და ჰეჯირების დოკუმენტაციაში, ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტის გარეშე
- დროებით ათავისუფლებს საწარმოებს ცალკე იდენტიფიცირებადი მოთხოვნის დაკმაყოფილებისგან, როდესაც ურისკო განაკვეთის ინსტრუმენტის კლასიფიცირება ხდება რისკის კომპონენტის ჰეჯირებად

ჯგუფმა გამოიყენა ცვლილებებით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ნახეთ 23-ე შენიშვნა.

„კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ - ცვლილებები ფასს 16-ში

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

2020 წლის 28 მაისს ბასსს-მა გამოუშვა „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ – ცვლილება ფასს 16-ში „იჯარა“. ცვლილებები ითვალისწინებს შეღავათს მოიჯარეებისთვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ არ დაევალათ იჯარის მოდიფიკაციის აღრიცხვა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი გავლენით გამოწვეული საიჯარო ქირის დათმობებისთვის. მოიჯარეს, გამარტივებული მიდგომის გამოყენებით, შეუძლია გადაწყვიტოს, რომ არ შეაფასოს არის თუ არა მეიჯარისგან კოვიდ-19-თან დაკავშირებით საიჯარო ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარე, რომელიც ამ არჩევანს აკეთებს, საიჯარო ქირის კოვიდ-19-თან დაკავშირებული ნებისმიერი დათმობით გამოწვეული ცვლილება საიჯარო გადახდებში, ბუღალტრულად იმავე მეთოდით უნდა აღრიცხოს, როგორც ასახავდა ამ ცვლილებას ფასს 16-ის შესაბამისად, თუკი ცვლილება არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია.

ცვლილების დანერგვა იგეგმებოდა 2021 წლის 30 ივნისამდე, მაგრამ ვინაიდან კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა გრძელდება, 2021 წლის 31 მარტს ბასსს-მა გამარტივებული მიდგომის გამოყენების ვადა 2022 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა. ცვლილება ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებში. ამის მიუხედავად, ჯგუფს არ მიუღია კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა. იგი გეგმავს გამარტივებული მიდგომის გამოყენებას, თუ ის ძალაში შევა გამოყენებისთვის ნებადართულ ვადაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენება.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

პირველადი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

თავდაპირველი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ამ თანხას ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები. გამონაკლისს წარმოადგენს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ჯგუფი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- ამორტიზებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით
- სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ჯგუფი თავისი წარმოებული ინსტრუმენტების პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფმა შეიძლება ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური თავდებობებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ჯგუფი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამ პირობების შესახებ უფრო დაწვრილებით მოცემულია ქვემოთ:

ბიზნეს მოდელის შეფასება

ჯგუფი თავის ბიზნესმოდელს იმ დონეზე განსაზღვრავს, რომ საუკეთესოდ ასახავს იმას, თუ როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფებს თავისი ბიზნესამოცანების მისაღწევად.

ჯგუფი ბიზნესმოდელი თითოეული ინსტრუმენტისთვის კი არ ფასდება, არამედ უფრო მაღალ, აგრეგირებული პორტფელების, დონეზე და ეყრდნობა ისეთ დაკვირვებად (ემპირიულ) ფაქტორებს, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ.
- როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები ბანკის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნესმოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, „ყველაზე ცუდი“ და „სტრესული შემთხვევის“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია ბანკის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, ჯგუფი ამ ბიზნესმოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად ჯგუფი ეყრდნობა განსჯას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს რისკის მინიმუმზე მეტ მოცულობას ან იმ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მერყეობა, რომლებიც არ უკავშირდება სესხის დაფარვის ძირითად პირობებს, არ წარმოშობს ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ჯგუფი სავალო ინსტრუმენტებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით და ფინანსური აქტივების გაყიდვით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებაში შესული ცვლილებების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. საპროცენტო შემოსავალი და საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. აღიარების შეწყვეტისას სხვა სრულ შემოსავალში ასახული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი სხვა სრული შემოსავლიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი იშვიათად ახდენდა მისი კაპიტალის ინვესტიციის გამოუთხოვად კლასიფიცირებას კაპიტალის ინვესტიციის სახით, რომელიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ბასს 32-ის „*ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა*“საფუძველზე და მათი ფლობა სავაჭროდ არ ხდება. ამგვარი კლასიფიკაცია განისაზღვრება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე.

ასეთ წილობრივ ინსტრუმენტებზე მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგებაში ან ზარალში არასოდეს გადაიტანება. დივიდენდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით, გადახდის უფლების დადგენისას, გარდა შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი სარგებელს იღებს ამგვარი ამონაგებებიდან, ინსტრუმენტის ღირებულების ნაწილის ანაზღაურების სახით, რა შემთხვევაშიც ამგვარი შემოსულობები სხვა სრულ შემოსავალში აღირიცხება. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული წილობრივი ინსტრუმენტები არ გაუფასურების შეფასების საგანს არ წარმოადგენენ. ამგვარი ინსტრუმენტების გაყიდვისას, დაგროვილი გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებებზე.

აკრედიტივები და სესხების გაცემის ვალდებულება

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს აკრედიტივებს და სესხებს. სესხების გაცემის ვალდებულება და აკრედიტივები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა მიხედვითაც, ნაკისრი ვალდებულების ვადის განმავლობაში ჯგუფს ევალება სესხის გაცემა მომხმარებლისთვის წინასწარ დადგენილი პირობებით. ეს ხელშეკრულებები ექცევა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნების არეალში.

ვალდებულების შესრულების გარანტია

ვალდებულების შესრულების გარანტია არის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ვალდებულების შესრულების გარანტიის კონტრაქტების მიხედვით რისკი არის იმის ალბათობა, რომ მეორე მხარე ვერ შესრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია

ჯგუფი არ ახდენს მისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ისეთი გამონაკლისი შემთხვევების გამოკლებით, რომელშიც ჯგუფი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არ ხდება. 2021 წელს ჯგუფს არ მოუხდენია თავისი რომელიმე ფინანსური აქტივის ან ვალდებულების რეკლასიფიკაცია.

რესტრუქტურიზებული სესხები

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს სესხების რესტრუქტურიზაციას ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი ან წამოიწყოს იძულებითი აღსრულების პროცედურები. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

ჯგუფი ფინანსური აქტივის, მაგალითად, მომხმარებელზე გაცემული სესხის, აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც მოლაპარაკების შედეგად პირობები იმდენად შეიცვალა, რომ საქმე არსებითად ახალ სესხთან გვაქვს, სხვაობის აღიარება კი ხდება აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის სახით, თუ გაუფასურების ზარალი უკვე ბუღალტრულად აღრიცხული არ არის. ახლად აღიარებული სესხების კლასიფიცირება ხდება პირველ სტადიად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალი სესხი ითვლება შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ სესხად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა მომხმარებელზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჯგუფი შემდეგსაც ითვალისწინებს:

- სესხის ვალუტის ცვლილება;
- კონტრაჰენტის ცვლილება;
- ხომ არ იწვევს ცვლილება ინსტრუმენტის SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.

თუ ცვლილება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადებში მომხდარ ცვლილებას ჯგუფი აღრიცხავს, როგორც მოდიფიცირების შედეგად გამოწვეულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილ საპროცენტო შემოსავალში, თუ უკვე არ არის აღრიცხული გაუფასურების ზარალი.

ცვლილებებისთვის, რომლებიც არ იწვევს აღიარებს შეწყვეტას, ჯგუფი ასევე განმეორებით აფასებს ხომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში, ან აქტივები ხომ არ უნდა იყოს კლასიფიცირებული გაუფასურებულად. კერძოდ, მან გადასინჯა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშნები და ავტომატურად არ მიიჩნევს საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზრდილად, თუ სესხის მოდიფიკაცია ხდება მთავრობის დახმარების ღონისძიებების ფარგლებში. აქტივი, რომელიც მოდიფიცირების შედეგად გაუფასურებულად არის კლასიფიცირებული, შეიძლება აღირიცხოს მე-2 ან მე-3 სტადიის სახით, თუ დაკმაყოფილდება გარკვეული კრიტერიუმები ჯგუფის დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, საქართველოს ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ასევე არ გადაუცია კონტროლი აქტივზე, აქტივის აღიარება ხდება ამ აქტივში ჯგუფის მონაწილეობის შენარჩუნების ოდენობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ან ნაწილობრივ, ან მთლიანად მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფი შეწყვეტს მათი ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. სავალდებულო რეზერვი შედის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მუხლში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგადაფარვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში;
- დეფოლტის შემთხვევაში; და
- საწარმოს და ყველა კონტრაჰენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომელიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (ეხება გაუნაწილებელ მოგებას) და საგადასახადო კანონების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ასახულია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტებად.

იჯარა

i. ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. თუ ჯგუფს არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადახდებს , რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ii. საოპერაციო იჯარა – ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება სხვა შემოსავლის ნაწილში, რაც წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, შემდეგი წლიური ცვეთის კოეფიციენტების გამოყენებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	2-3%
ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	10-20%
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	10-33%
სხვა	5-20%

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების 10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე, ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსავლებიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ემატება დივიდენდის თანხას და პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღირიცხება.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ჯგუფი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს სავალო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება, ჯგუფი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ ჯგუფი უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას ბრუტოს საფუძველზე.

საპროცენტო შემოსავალი ყველა ფინანსური აქტივიდან, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღიარებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა ტიპის მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში. გასამრჯელო მოიცავს საკომისიო შემოსავალს გარანტიებიდან და აკრედიტივებიდან. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

დროის გარკვეულ მომენტში მიღებული საკომისიო შემოსავალი

ანგარიშსწორების და საკასო ოპერაციებიდან მიღებული საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი გარიგებების დასრულებისთანავე. თითოეული საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაცია აღირიცხება, როგორც კონსოლიდირებული შესასრულებელი მოვალეობა.

საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი

მესამე მხარისთვის გარიგების პირობებზე მოლაპარაკებიდან ან მოლაპარაკებაში მონაწილეობიდან მიღებული გასამრჯელოს (მაგალითად, როდესაც ჯგუფის შესასრულებელ მოვალეობას წარმოადგენს აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის უზრუნველყოფა) აღიარება ხდება შესაბამისი გარიგების დასრულებისთანავე. გასამრჯელო და გასამრჯელოს გარკვეულ შესასრულებელი მოვალეობებთან დაკავშირებული კომპონენტები აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ. როდესაც კონტრაქტი ითვალისწინებს ცვალებად ანაზღაურებას, გასამრჯელოსა და საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს იმის ალბათობა, რომ აღიარებული ჯამური შემოსავლის თანხის მნიშვნელოვანი შემობრუნება არ მოხდება მანამ, სანამ საბოლოოდ გაირკვევა ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალის მუხლში. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისი თანმიმდევრობით, იყო 3.0976 ლარი და 3.2766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით და 3.5040 ლარი და 4.0233 ლარი 1 ევროსთან მიმართებით.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით. მის მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამონაკლისები. ფასს (IFRS) 17-ს ახალი სააღრიცხვო მოთხოვნა დაემატა დაზღვევის მახასიათებლების მქონე საბანკო პროდუქტებისთვის, რამაც შეიძლება იმოქმედოს იმის განსაზღვრაზე, თუ რომელი ინსტრუმენტები ან ამ ინსტრუმენტების რომელი პროდუქტები ექცევა ფასს 9-ის ან ფასს 17-ის მოქმედების არეალში.

საკრედიტო ბარათები და მსგავსი პროდუქტები, რომლებიც სადაზღვევო დაფარვას შეიცავს: ამ პროდუქტების გამცემთა უმეტესობა შეძლებს გააგრძელოს მათი ამჟამინდელი წესით, ანუ ფასს 9-ის მიხედვით ფინანსურ ინსტრუმენტად აღრიცხვა. ფასს 17 თავისი მოქმედების არეალიდან გამორიცხავს საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს (ან სხვა მსგავს ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს საკრედიტო ან გადახდის სქემებს), რომლებიც აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ საწარმო არ ასახავს ცალკეულ მომხმარებელთან დაკავშირებული სადაზღვევო რისკის შეფასებას ამ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების ფასის ოდენობაზე.

როდესაც სადაზღვევო დაფარვა შეთავაზებულია საკრედიტო ბარათის სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში, მისი გამცემი ვალდებულია:

- გამოაცალკეოს სადაზღვევო დაფარვის კომპონენტი და მასზე გამოიყენოს ფასს 17
- გამოიყენოს სხვა მოქმედი სტანდარტები (როგორებიცაა ფასს 9, ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ ან ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“) მისი დანარჩენი კომპონენტებისთვის

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

სასესხო ხელშეკრულებები, რომლებიც აკმაყოფილებს დაზღვევის განმარტებას, მაგრამ ზღუდავს სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების თანხას იმ ოდენობამდე, რომელიც სხვა შემთხვევაში მოითხოვება ხელშეკრულების მიხედვით დამზღვევის ვალდებულების დასაფარად: ასეთი სესხების გამცემები - მაგ. სესხები სიკვდილის შემთხვევაში მოთხოვნის უფლების დათმობით - უფლება აქვთ გამოიყენონ ან ფასს 9, ან ფასს 17. ეს არჩევანი კეთდება პორტფელის დონეზე და შეუქცევადია.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ფასს 17-ის მიღების გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას
- რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად. ჯგუფი ამ ეტაპზე აფასებს ცვლილებების ეფექტს მის მიმდინარე პრაქტიკაზე და იმას, არსებული სესხები საჭიროებს თუ არა რესტრუქტურიზაციას

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები

ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის შესწორება. ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებელსა და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. საწარმო ცვლილებებს იყენებს იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღით ან თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას.

ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ჯგუფი აღნიშნულ ცვლილებებს გამოიყენებს კონსოლიდირებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური პერიოდის დასაწყისიდან, რომლის განმავლობაშიც იგი პირველად იყენებს ცვლილებას და არ მოელის, რომ ეს არსებით გავლენას მოახდენს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე – ცვლილებები ბასს 16-ში

2020 წლის მაისში ბასსს-მ გამოუშვა „ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“. ამ შესწორების მიხედვით, საწარმოებს ეკრძალებათ ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულებიდან გამოქვითონ ნებისმიერი შემოსავალი ერთეულების გაყიდვიდან, რომელიც წარმოიქმნება ამ აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც საჭიროა ხელმძღვანელობისთვის სასურველი მიზნით მის გამოსაყენებლად. ამის ნაცვლად, საწარმო ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და ამ ერთეულების წარმოების თვითღირებულებას აღიარებს შემოსავალში ან ზარალში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

შესწორება ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და რეტროსპექტიულად ვრცელდება ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებზე, რომლებიც ექსპლუატაციისთვის მზად არის საწარმოს მიერ ამ შესწორების პირველად გამოყენებისას წარმოდგენილი უადრესი პერიოდის საწყისი ან მის შემდგომი თარიღიდან.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არსებითი გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ბასს 8-ის შესწორებები

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოუშვა ბასს 8-ის შესწორებები, რომლებშიც წარმოადგინა „სააღრიცხვო შეფასებების“ განმარტება. შესწორებები განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს შორის და შეცდომების გასწორებას. გარდა ამისა, იგი ასევე განმარტავს, როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ხერხებს და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად.

ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებიც დგება ამ პერიოდის საწყისი თარიღით ან მის შემდგომ. დაშვებულია ვადაზე ადრე გამოყენება, თუ ეს ფაქტი გაცხადდება.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არსებითი გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შეახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებითის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

განუსაზღვრელობის შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების მისაღებად ჯგუფის ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში დაეყრდნო თავის განსჯას და პროგნოზებს. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

არაფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად ჯგუფი იყენებს კომპლექსურ მოდელებს, რომლებიც ეყრდნობა რამდენიმე დაშვებას ცვლადი მონაცემების არჩევასთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ჯგუფის მოდელი, რომელიც თითოეულ დონეს ანიჭებს დეფოლტის ალბათობას.
- ჯგუფის კრიტერიუმები იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად ხომ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი და ამიტომ ფინანსური აქტივების რეზერვები ხომ არ უნდა შეფასდეს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით;
- ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების შემუშავება, მათ შორის, სხვადასხვა ფორმულისა და ამოსავალი მონაცემის შერჩევა;
- ურთიერთდამოკიდებულების დადგენა მსესხებლების ფინანსურ მაჩვენებლებსა და ისეთ მაკროეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის, როგორიცაა მშპ-ის ზრდის ტემპი, სავალუტო კურსები და ინფლაციის ტემპი, და დეფოლტის ალბათობებზე, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე და დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე მათი გავლენის განსაზღვრა.
- საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარების არჩევა და მათი ალბათობების შეწონა, მიღებული ეკონომიკური მონაცემების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში გამოყენების მიზნით.
- უზრუნველყოფის საგნების ღირებულების შეფასება, მათ შორის უზრუნველყოფის საგნებიდან ფულადი ნაკადების მიღების დროის შეფასება.

თავის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე კოვიდ-19-ის მიმდინარე პანდემიის პოტენციური გავლენის შესაფასებლად 2020 წელს ჯგუფმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. ჯგუფმა პორტფელის ანალიზი ჩაატარა კოვიდ-19-თან დაკავშირებული სტრესული სცენარების გამოყენებით, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ბანკთან („სებ“) იყო შეთანხმებული. პორტფელის მიმოხილვა მოხდა სტრესულ პირობებში, რომლებიც მოიცავდა ყველა მსესხებელსა და სექტორს. მომავალი ორი წლისთვის მოსალოდნელი შემოსავლები სხვადასხვა პროცენტული პუნქტით შემცირდა სხვადასხვა კორპორატიული მსესხებლის შემთხვევაში, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მოწყვლადია სექტორი კოვიდ-19-ის სტრესის მიმართ და იმ დაშვებით, რომ ეკონომიკა სამ წელიწადში მთლიანად აღდგება. სტრესული ტესტირების შედეგების მიხედვით, კორპორატიული მსესხებლები, რომელთა საკრედიტო რისკი პოტენციურ ზრდას მოასწავებს, გამოვლინდა გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების მიხედვით და რეკლასიფიცირდა გაუფასურების მე-2 ან მე-3 სტადიებზე. საცალო სეგმენტის შემთხვევაში, შეირჩნენ ის მსესხებლები, რომელთა სესხები კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ მინიმუმ ორჯერ მოდიფიცირდა და რომელთა განკარგვადი შემოსავლის შესახებ ინფორმაცია არ განახლებულა.
2021 წელს ჯგუფმა გააგრძელა თავისი მსესხებლების საქმიანობის ფაქტობრივი შედეგების მონიტორინგი. იმის გათვალისწინებით, რომ კოვიდ-19-ის გავლენა უკვე აისახა მსესხებლების ფინანსურ ინფორმაციაზე, ჯგუფი არ იყენებს დამატებით სტრესულ სცენარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განუსაზღვრელობის შეფასება (გაგრძელება)

გარდა ამისა, ჯგუფმა გადახედა თავის მიდგომას დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასებისადმი, რათა აესახა ლარი/აშშ დოლარის კურსის მერყეობასთან დაკავშირებული გაზრდილი რისკი, რომელიც გამოწვეულია კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ეკონომიკური დაღმასვლით. წინა მოდელებში ჯგუფი ავტომატურად აახლებდა უზრუნველყოფის საგნის ღირებულებას ლარში, შეფასების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე აშშ დოლართან მიმართებით ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების მიხედვით. 2020 წელს სავალუტო კურსების ზემოაღნიშნული მერყეობის გამო ჯგუფმა შეწყვიტა თავისი პრაქტიკა და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებას აახლებს მხოლოდ სრული შეფასების შედეგად ან ეყრდნობა ლარში ბოლო შეფასებით მიღებულ ღირებულებას. ამ ცვლილების შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 17,357 ათასი ლარით გაიზარდა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა გამოიყენა იგივე მეთოდი, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფის საგნის ღირებულება ლარში ფასდება გაცვლითი კურსით, უზრუნველყოფის საგნის გადაფასების თარიღის და არა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 144,623 ლარი (2020 წ.: 158,451 ლარი). დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-7 და 23-ე შენიშვნებში.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ან გაცხადებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია 24-ე შენიშვნაში.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება

დასაკუთრებული აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით (სესხის წმინდა საბალანსო ღირებულება) და შემდეგ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

შეფასება განახორციელა დამოუკიდებელმა საშემფასებლო კომპანიამ, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული სერტიფიცირება და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასების გამოცდილება. შედარების პროცესში, მათ გამოიყენეს სამი შედარებადი ანალოგია (რეგისტრირებული გაყიდვა და/ან გაყიდვის შეთავაზება), შესაფასებელ აქტივებსა და ანალოგებს შორის არსებული განსხვავებების მიხედვით ფასების დაკორექტირებით. აქტივების უმეტესობის ღირებულება შეფასებულია საბაზრო მიდგომის გამოყენებით. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2021	*2020*
ნაღდი ფული სალაროში	26,988	27,479
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	13,498	5,159
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	32,706	62,002
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში	9,721	43,815
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(9)	(54)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**82,904**	**138,401**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული, აშშ დოლარში, ლარსა და ევროში გამოხატული, მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაბრები წარმოადგენს მთლიანი მიმდინარე და ვადიანი ანაბრების 69%-ს, 25%-სა და 5%-ს, შესაბამისად (2020 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 49%, ლარი 15% და ევრო 33%).

ფულადი სახსრების ეკვივალენტების ყველა ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით არის აღრიცხული და 1-ელ სტადიას მიკუთვნებული.

(ათას ლარში)

6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	2021	*2020*
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	189,170	203,927
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაბარი	6,730	7,807
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(45)	(51)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**195,855**	**211,683**

2021 წელს საკრედიტო დაწესებულებებს ევალებოდათ საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო პროცენტიანი დეპოზიტის გახსნა მომხმარებლებისგან და არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 5%-ისა და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 25%-ის ოდენობით (2020 წ.: 5% და 25%, შესაბამისად).

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებაში და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (სებ-ში სავალდებულო რეზერვების გარდა) ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

	საერთო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**7,807**	**2**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	1,937	1
დაფარული აქტივები	(2,719)	(2)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(295)	–
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,730**	**1**

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებაში და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

	საერთო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**4,848**	**2**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	2,305	–
დაფარული აქტივები	(51)	–
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	705	–
2020 წლის 31 დეკემბერს	**7,807**	**2**

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ყველა ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით არის აღრიცხული და მიკუთვნებულია პირველ სტადიას.

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	2021	*2020*
კორპორატიული სესხები	1,033,582	1,158,960
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	28,972	31,331
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები ამორტიზებული ღირებულებით	**1,062,554**	**1,190,291**
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(144,623)	(158,451)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	**917,931**	**1,031,840**

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში გაცემული კორპორატიული კრედიტების საერთო საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კორპორატიული სესხები, საერთო	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**651,975**	**50,595**	**379,369**	**77,021**	**1,158,960**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	421,322	731	48,287	102	**470,442**
დაფარული ან ჩამოწერილი აქტივები	(406,018)	(13,865)	(78,057)	(35,332)	**(533,272)**
გადატანები პირველ სტადიაზე	13,682	(7,901)	(5,781)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(21,157)	43,905	(22,748)	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	(43,931)	(29,031)	72,962	–	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	3,410	–	**3,410**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას	(138)	(666)	380	–	**(424)**
აღდგენები	–	–	812	–	**812**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(17,694)	–	**(17,694)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(19,006)	(2,575)	(21,003)	(6,068)	**(48,652)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**596,729**	**41,193**	**359,937**	**35,723**	**1,033,582**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კორპორატიული სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	*1-ელი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**9,774**	**239**	**112,586**	**33,805**	**156,404**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	6,760	18	10,797	33	**17,608**
გადახდილი ან ჩამოწერილი აქტივები	(4,616)	(228)	(8,749)	(11,101)	**(24,694)**
გადატანები პირველ სტადიაზე	34	(19)	(15)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(544)	872	(328)	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	(372)	(780)	1,152	–	–
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(15)	1,026	11,426	–	**12,437**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	3,410	–	**3,410**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას	(447)	(23)	38	–	**(432)**
აღდგენები	–	–	812	–	**812**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(17,694)	–	**(17,694)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	3,519	(740)	(3,828)	(3,665)	**(4,714)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**14,093**	**365**	**109,607**	**19,072**	**143,137**

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით, მთლიანი	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**20,579**	**3,030**	**7,722**	**31,331**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	21,577	57	667	**22,301**
გადახდილი ან ჩამოწერილი აქტივები	(20,263)	(702)	(2,184)	**(23,149)**
გადატანები პირველ სტადიაზე	523	(523)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(1,415)	1,652	(237)	–
გადატანები მესამე სტადიაზე	(142)	(1,289)	1,431	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	93	**93**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას	–	–	–	–
აღდგენები	–	–	7	**7**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(435)	**(435)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(535)	(242)	(399)	**(1,176)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**20,324**	**1,983**	**6,665**	**28,972**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ფიზიკურ პირებზე გაცემული ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**101**	**82**	**1,864**	**2,047**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	154	5	127	**286**
გადახდილი ან ჩამოწერილი აქტივები	(116)	(21)	(250)	**(387)**
გადატანები პირველ სტადიაზე	6	(6)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(22)	33	(11)	–
გადატანები მესამე სტადიაზე	(2)	(56)	58	–
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(5)	40	59	**94**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	93	**93**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას	1	(1)	(43)	**(43)**
აღდგენები	–	–	7	**7**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(435)	**(435)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	49	(29)	(196)	**(176)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**166**	**47**	**1,273**	**1,486**

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში გაცემული კორპორატიული კრედიტების საერთო საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კორპორატიული სესხები, საერთო	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**520,940**	**46,063**	**278,275**	**115,466**	**960,744**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	430,311	1,770	45,377	–	**477,458**
გადახდილი ან ჩამოწერილი აქტივები	(265,633)	(21,050)	(54,626)	(56,726)	**(398,035)**
ხელახალი სეგმენტაცია	–	–	514	–	**514**
გადატანები პირველ სტადიაზე	15,878	(6,791)	(9,087)	–	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(62,742)	62,742	–	–	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(42,739)	(35,303)	78,042	–	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	3,803	–	**3,803**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას	(1,281)	(575)	(508)	51	**(2,313)**
აღდგენები	–	–	–	–	**–**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(4,034)	–	**(4,034)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	57,241	3,739	41,613	18,230	**120,823**
2020 წლის 31 დეკემბერს	**651,975**	**50,595**	**379,369**	**77,021**	**1,158,960**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კორპორატიული სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,122**	**692**	**78,380**	**29,622**	**111,816**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	6,561	23	14,707	–	**21,291**
გადახდილი ან ჩამოწერილი აქტივები	(1,508)	(456)	(13,885)	(6,345)	**(22,194)**
ხელახალი სეგმენტაცია	–	–	–	3	**3**
გადატანები პირველ სტადიაზე	2,953	(158)	(2,795)	–	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(145)	145	–	–	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(2,639)	(806)	3,445	–	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(2,900)	1,061	3,661	–	**1,822**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	3,803	–	**3,803**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას	(112)	(23)	(329)	(15)	**(479)**
აღდგენები	–	–	–	–	**–**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(4,033)	–	**(4,033)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	4,442	(239)	29,632	10,540	**44,375**
2020 წლის 31 დეკემბერს	**9,774**	**239**	**112,586**	**33,805**	**156,404**

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით, მთლიანი	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**25,382**	**733**	**6,038**	**32,153**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	9,133	23	801	**9,957**
დაფარული ან ჩამოწერილი აქტივები	(11,438)	(310)	(2,032)	**(13,780)**
ხელახალი სეგმენტაცია	–	–	(514)	**(514)**
გადატანები პირველ სტადიაზე	147	(147)	–	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(4,995)	5,089	(94)	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(570)	(2,631)	3,201	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	85	**85**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას	(14)	(16)	(89)	**(119)**
აღდგენები	–	–	5	**5**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(639)	**(639)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	2,934	289	960	**4,183**
2020 წლის 31 დეკემბერს	**20,579**	**3,030**	**7,722**	**31,331**

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ფიზიკურ პირებზე გაცემული ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	*1-ლი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**86**	**42**	**1,624**	**1,752**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	133	3	14	**150**
დაფარული ან ჩამოწერილი აქტივები	(86)	(10)	(53)	**(149)**
ხელახალი სეგმენტაცია	–	–	(3)	**(3)**
გადატანები პირველ სტადიაზე	6	(6)	–	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(44)	49	(5)	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(6)	(127)	133	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(5)	130	203	**328**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	85	**85**
მოდიფიკაციებით გამოწვეული ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას	–	(3)	(60)	**(63)**
აღდგენები	–	–	5	**5**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(638)	**(638)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	17	4	559	**580**
2020 წლის 31 დეკემბერს	**101**	**82**	**1,864**	**2,047**

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კოვიდ-19-ის მიმდინარე პანდემიის ფონზე, ჯგუფმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. ჯგუფმა ასევე განაახლა საპროგნოზო ინფორმაცია, სავარაუდო მაკროეკონომიკური მაჩვენებლების და სცენარებისთვის მინიჭებული წონების ჩათვლით.

ცხრილში მოცემულია კოვიდ-19-ის გათვალისწინებით მოდელის კორექტირებები, რომლებიც გაკეთდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში:

	კოვიდ-19-მდე მოდელის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	*კოვიდ-19-ის გათვალისწინებით მოდელის კორექტირებები*	*სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*	*კორექტირებები, როგორც მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის %*
კორპორატიული სესხები	139,526	16,881	156,407	12.0%
სამომხმარებლო სესხები	1,570	476	2,046	0.3%
სულ	**141,096**	**17,357**	**158,453**	**12.3%**

კოვიდ-19-ის გათვალისწინებით მოდელის კორექტირებები წარმოადგენს კოვიდ-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო მონაცემებთან და მოდელის შეზღუდვებთან დაკავშირებულ შესწორებებს. კორექტირებების შეტანა ხდება პორტფელის დონეზე საკრედიტო რისკის ანალიზითა და გაცემული კრედიტის ოდენობის დონეზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაფარვის კოეფიციენტის შეფასებით.

ჯგუფმა მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა სხვადასხვა სტრესულ სცენარში განიხილა, მსესხებლის საქმიანობის ხასიათისა და სექტორის მიხედვით, რის შედეგადაც მათი საკრედიტო ხარისხი გაუარესდა და გამოიწვია პირველი სტადიის მსესხებლების მნიშვნელოვანი რაოდენობის რეკლასიფიკაცია მეორე და მესამე სტადიებში. ამასთან, აშშ დოლართან მიმართებით ლარის მძლავრი გაუფასურების გამო, ჯგუფმა გადასინჯა თავისი მიდგომა დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გამოთვლისადმი, რათა აესახა აშშ დოლართან მიმართებით ლარის კურსის მერყეობის გაზრდილი რისკი, რაც გამოიწვია კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ეკონომიკურმა კრიზისმა. წინა მოდელებში ჯგუფი ავტომატურად აახლებდა უზრუნველყოფის საგნის ღირებულებას ლარში, შეფასების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე აშშ დოლართან მიმართებით ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების მიხედვით. 2020 წელს სავალუტო კურსების ზემოაღნიშნული მერყეობის გამო ჯგუფმა შეწყვიტა თავისი პრაქტიკა და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებას აახლებს მხოლოდ სრული შეფასების შედეგად ან ეყრდნობა ლარში ბოლო შეფასებით მიღებულ ღირებულებას.

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2021 წელს ჯგუფმა გააგრძელა თავისი მსესხებლების საქმიანობის ფაქტობრივი შედეგების მონიტორინგი. იმის გათვალისწინებით, რომ კოვიდ-19-ის გავლენა უკვე აისახა მსესხებლების ფინანსურ ინფორმაციაზე, ჯგუფი არ იყენებს დამატებით სტრესულ სცენარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მოდიფიცირებული და რესტრუქტურიზებული სესხები

ჯგუფი ფინანსური აქტივის, მაგალითად, მომხმარებელზე გაცემული სესხის, აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც მოლაპარაკების შედეგად პირობები იმდენად შეიცვალა, რომ საქმე არსებითად ახალ სესხთან გვაქვს. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება პირველი სტადიის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებულად.

თუ ცვლილება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფი საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ფულადი ნაკადების ცვლილების საფუძველზე აღრიცხავს მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს, თუ გაუფასურების ზარალი უკვე არ არის აღრიცხული.

ქვედა ცხრილში მოცემულია მე-2 და მე-3 სტადიის აქტივები, რომლებიც პერიოდის განმავლობაში შეიცვალა, ბანკის მიერ მოდიფიკაციის შედეგად განცდილი შესაბამისი ზარალით.

	2021	*2020*
პერიოდის განმავლობაში მოდიფიცირებული სესხები		
ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციამდე	161,075	395,539
მოდიფიკაციით განპირობებული წმინდა ზარალი	(424)	(2,432)
თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოდიფიცირებული სესხები		
31 დეკემბრისთვის იმ სესხების საერთო საბალანსო ღირებულება, რომლებზეც შესაძლო ზარალის რეზერვი 12-თვიანი შეფასებით შეიცვალა პერიოდის განმავლობაში	11,780	–

უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა ინსტრუმენტები

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები. მიღებული უზრუნველყოფის ტიპები, როგორც წესი, არის უძრავი ქონების იპოთეკა, ასევე ნაღდი ფული და თავდებობები, წარმოდგენილი მსესხებლებისა და მესამე მხარეების მიერ.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ცხრილში წარმოდგენილია სასესხო პორტფელის ანალიზი უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით. თუ სესხები სხვადასხვა ტიპის გირაოთია უზრუნველყოფილი, ამ განაწილების მიზნებისთვის სესხის უზრუნველყოფის ტიპად მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვანი გირაო:

უზრუნველყოფის ტიპი	*საერთო საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*
უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილი სესხები	789,752	(90,873)	698,879
ნაღდი ფულით უზრუნველყოფილი სესხები	39,458	–	39,458
აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სესხები	94,148	(18,442)	75,706
სასაქონლო-მატერიალური მარაგით უზრუნველყოფილი სესხები	11,535	(1,429)	10,106
სხვა უზრუნველყოფა	2,401	(1,760)	641
არაუზრუნველყოფილი სესხები	125,260	(32,119)	93,141
სულ	**1,062,554**	**(144,623)**	**917,931**

უზრუნველყოფის ტიპი	*საერთო საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*	*წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*
უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილი სესხები	**884,958**	(99,867)	**785,091**
ნაღდი ფულით უზრუნველყოფილი სესხები	56,773	–	**56,773**
აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სესხები	92,866	(16,853)	**76,013**
სასაქონლო-მატერიალური მარაგით უზრუნველყოფილი სესხები	59,890	(2,951)	**56,939**
სხვა უზრუნველყოფა	3,594	(2,843)	**751**
არაუზრუნველყოფილი სესხები	92,210	(35,937)	**56,273**
სულ	**1,190,291**	**(158,451)**	**1,031,840**

ხელმძღვანელობის შეფასებით, უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება სესხების გაცემის დროს, სულ მცირე, უტოლდება შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებებს. უზრუნველყოფის საგნების სამართლიანი ღირებულება გადაფასდა 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2021 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის მსესხებლების ექვსი უმსხვილესი ჯგუფის მთლიანი სასესხო დავალიანება 316,418 ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 29.8%-ია (2020 წლის 31 დეკემბერი: 378,896 ლარი, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 31.8%-ს შეადგენდა). ამ სესხებისთვის შექმნილია 25,079 ლარის რეზერვი (2020 წლის 31 დეკემბერი: 18,939 ლარის რეზერვი).

საქართველოში გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით:

	2021	*2020*
ვაჭრობა და მომსახურება	421,132	467,797
წარმოება	293,883	351,553
მშენებლობა	224,379	241,197
„სოფლის მეურნეობა“	48,560	58,835
ფიზიკური პირები	28,972	31,330
ენერგეტიკა	197	180
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	2,590	238
სხვა	42,841	39,161
	1,062,554	**1,190,291**

8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

	2021	*2020*
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები		
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	–	7,864
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	23,599	25,667
არაფინანსური კორპორაციების სავალო ფასიანი ქაღალდები	19,001	19,912
	42,600	**53,443**
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(432)	(474)
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	**42,168**	**52,969**

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წილობრივი ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.	*წილობრივი მონაწილეობა %*	*2021*	*2020*
ინვესტიცია სს “გაერთიანებულ კლირინგ ცენტრში”	6.25%	54	54
ინვესტიცია სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში“	0.27%	3	3
ინვესტიცია სს „გაერთიანებულ საფინანსო კორპორაციაში“	0.47%	104	–
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წილობრივი ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.		**161**	**57**

(ათას ლარში)

8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	*2021*	*2020*
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	8,937	9,312
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	**8,937**	**9,312**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდების საერთო საბალანსო ღირებულებაში და მასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	*საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები*	*საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები*	*არაფინანსური კორპორაციების სავალო ფასიანი ქაღალდები*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**7,864**	**–**	**25,667**	**19,912**	**53,443**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	–	60	–	–	**60**
დაფარული აქტივები	(8,000)	(60)	(2,000)	–	**(10,060)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	136	–	(68)	(911)	**(843)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**–**	**23,599**	**19,001**	**42,600**

	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	*საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები*	*საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები*	*არაფინანსური კორპორაციების სავალო ფასიანი ქაღალდები*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**5**	**–**	**69**	**400**	**474**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	–	–	–	–	**–**
დაფარული აქტივები	(1)	–	(1)	–	**(2)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(3)	–	(7)	(30)	**(40)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1**	**–**	**61**	**370**	**432**

	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	*საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები*	*საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები*	*არაფინანსური კორპორაციების სავალო ფასიანი ქაღალდები*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**13,471**	**7,916**	**3,688**	**17,803**	**42,878**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	10,000	4,000	22,667	–	**36,667**
დაფარული აქტივები	(16,000)	(12,000)	(1,575)	–	**(29,575)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	393	84	887	2,109	**3,473**
2020 წლის 31 დეკემბერს	**7,864**	**–**	**25,667**	**19,912**	**53,443**

(ათას ლარში)

8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	*საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები*	*საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები*	*არაფინანსური კორპორაციების სავალო ფასიანი ქაღალდები*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**22**	**–**	**20**	**367**	**409**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	21	–	72	–	**93**
დაფარული აქტივები	(4)	–	(4)	–	**(8)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(34)	–	(19)	33	**(20)**
2020 წლის 31 დეკემბერს	**5**	**–**	**69**	**400**	**474**

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყველა ნაშთი, რომელიც ამორტიზებული ღირებულებით არის აღრიცხული, 1-ელ სტადიას მიეკუთვნება.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავალო ფასიანი ქაღალდების მთლიან საბალანსო ღირებულებებში ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება

	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**9,312**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	6,054
გაყიდული აქტივები	(6,054)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(375)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**8,937**

	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	9,000
ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში	242
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	70
2020 წლის 31 დეკემბერს	**9,312**

(ათას ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

	შენობები და სხვა უძრავი ქონება	*ავეჯი და მოწყობილობები*	*კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა*	*საიჯარო ქონების გაუმჯობესება და სხვა*	*დაუმთავრებელი მშენებლობა*	*სულ*
თვითღირებულება						
1 იანვარი, 2020 წ.	**10,360**	**6,781**	**6,698**	**1,736**	**267**	**25,842**
შესყიდვები	–	87	493	15	92	**687**
შიდა გადაცემა	92	216	–	–	(308)	**–**
გასხვისება და ჩამოწერა	(392)	(608)	(52)	(87)	–	**(1,139)**
გადატანა სხვა აქტივებში	(150)	–	–	–	–	**(150)**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**9,910**	**6,476**	**7,139**	**1,664**	**51**	**25,240**
შესყიდვები	–	130	1,640	–	823	**2,593**
რეკლასიფიკაცია	(5)	(96)	262	(156)	(5)	–
გასხვისება და ჩამოწერა	–	(87)	(84)	(45)	–	**(216)**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**9,905**	**6,423**	**8,957**	**1,463**	**869**	**27,617**
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2020 წ.	**2,398**	**5,408**	**4,858**	**158**	**–**	**12,822**
ცვეთის ხარჯი	253	354	802	201	–	**1,610**
გასხვისება და ჩამოწერა	(392)	(608)	(52)	(79)	–	**(1,131)**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**2,259**	**5,154**	**5,608**	**280**	**–**	**13,301**
ცვეთის ხარჯი	253	337	836	171	–	**1,597**
რეკლასიფიკაცია	(62)	(427)	78	411	–	–
გასხვისება და ჩამოწერა	–	(87)	(85)	(43)	–	**(215)**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**2,450**	**4,977**	**6,437**	**819**	**–**	**14,683**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი, 2020 წ.	**7,962**	**1,373**	**1,840**	**1,578**	**267**	**13,020**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**7,651**	**1,322**	**1,531**	**1,384**	**51**	**11,939**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**7,455**	**1,446**	**2,520**	**644**	**869**	**12,934**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანად გაცვეთილი მუხლები გაუტოლდა 6,433 ლარს (2020 წ.: 6,627 ლარი).

10. აქტივის გამოყენების უფლება

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების და საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა ასე გამოიყურება:

	აქტივის გამოყენების უფლება – შენობები	*საიჯარო ვალდებულებები*
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**4,184**	**4,575**
შესყიდვები	10	10
ცვეთის ხარჯი	(1,427)	–
საპროცენტო ხარჯი	–	372
გადახდები	–	(1,786)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,767**	**3,171**

(ათას ლარში)

10. აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

ჯგუფმა აღიარა 252 ლარის ხარჯი თავისი მოკლევადიანი და სხვა საოპერაციო იჯარებიდან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის (2020 წ.: 258 ლარი).

	აქტივის გამოყენების უფლება – შენობები	*საიჯარო ვალდებულებები*
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**5,436**	**5,680**
შესყიდვები	158	158
ცვეთის ხარჯი	(1,410)	–
საპროცენტო ხარჯი	–	487
გადახდები	–	(1,750)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,184**	**4,575**

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

	ლიცენზიები	*კომპიუტერული პროგრამები*	*სულ*
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2020 წ.	**6,725**	**2,210**	**8,935**
შესყიდვები	378	73	**451**
გასვლები და ჩამოწერები	(218)	(47)	**(265)**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**6,885**	**2,236**	**9,121**
შესყიდვები	1,511	232	**1,743**
რეკლასიფიკაცია	(256)	256	–
გასვლები და ჩამოწერები	(387)	(19)	**(406)**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**7,753**	**2,705**	**10,458**
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 იანვარი, 2020 წ.	**3,147**	**1,393**	**4,540**
ამორტიზაციის დანარიცხი	1,120	165	**1,285**
გასვლები და ჩამოწერები	(217)	(48)	**(265)**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**4,050**	**1,510**	**5,560**
ამორტიზაციის დანარიცხი	1,234	157	**1,391**
რეკლასიფიკაცია	(204)	204	–
გასვლები და ჩამოწერები	(387)	(19)	**(406)**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**4,693**	**1,852**	**6,545**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი, 2020 წ.	**3,578**	**817**	**4,395**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**2,835**	**726**	**3,561**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**3,060**	**853**	**3,913**

(ათას ლარში)

12. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2021	*2020*
სხვა არაფინანსური აქტივები		
დასაკუთრებული აქტივები	69,807	61,015
გადამზღვევლისგან მისაღები პრემიები	5,920	3,500
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	3,825	1,892
გადახდილი ავანსები	1,695	1,091
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	95	116
სხვა	117	119
	81,459	**67,733**
სხვა ფინანსური აქტივები		
მისაღები სადაზღვევო პრემია	1,579	4,219
დებიტორული დავალიანება	1,926	1,212
გარანტიასთან დაკავშირებით ანაზღაურებული მოთხოვნები	1,624	1,664
გამოკლებული: სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი	(2,033)	(2,720)
სხვა აქტივები, სულ	**84,555**	**72,108**

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მესამე სტადიის სხვა ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში შესული ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

	სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,242**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დანარიცხი	3,510
ჩამოწერა	(2,032)
2020 წლის 31 დეკემბერს	**2,720**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დანარიცხი	274
ჩამოწერა	(961)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,033**

დასაკუთრებული აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს 65,801 ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბერი: 54,485 ლარი) და მოძრავ ქონებას 4,006 ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბერი: 6,530 ლარი), რომლებიც ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით. დასაკუთრებული აქტივების გაუფასურებამ 2021 წელს 3,425 ლარი შეადგინა.

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
დასაფარი საგადაზღვევო ვალდებულებები	607	3,606
კრედიტორული დავალიანება	2,416	4,198
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	111	1,957
	3,134	**9,761**
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	–	926
ვალდებულებები სადაზღვეო კონტრაქტებიდან	6,938	4767
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	369	488
სხვა	195	284
	7,502	**6,465**
სხვა ვალდებულებები, სულ	**10,636**	**16,226**

(ათას ლარში)

12. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად თავიანთ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის, განაკვეთის ან ინდექსის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2021			
	პირობითი თანხა		*სამართლიანი ღირებულებები*	
	აქტივი	*ვალდებულება*	*აქტივი*	*ვალდებულება*
სავალუტო ხელშეკრულებები				
ფორვარდები და სვოპები – უცხოურ ვალუტაში	29,912	30,022	–	111
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები	**29,912**	**30,022**	**–**	**111**

	2020			
	პირობითი თანხა		*სამართლიანი ღირებულებები*	
	აქტივი	*ვალდებულება*	*აქტივი*	*ვალდებულება*
სავალუტო ხელშეკრულებები				
ფორვარდები და სვოპები – უცხოურ ვალუტაში	78,247	80,204	–	1,957
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები	**78,247**	**80,204**	**–**	**1,957**

13. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

	2021	*2020*
რეზიდენტი კომერციული ბანკებისგან მიღებული მიმდინარე ანგარიშები	15	9
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**15**	**9**

14. ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ

ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე მოიცავს:

	2021	*2020*
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები	375,665	442,128
ვადიანი დეპოზიტები (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით)	501,656	534,062
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	**877,321**	**976,190**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ მოიცავდა ათი უმსხვილესი მომხმარებლის ნაშთებს 416,106 ლარის ოდენობით, რაც მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშების 48%–ს შეადგენდა (2020 წლის 31 დეკემბერი: 509,564 ლარი, რაც მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშების 52%–ს შეადგენდა)

(ათას ლარში)

14. ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ (გაგრძელება)

მომხმარებელთა ანგარიშების ანალიზი ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

	2021	*2020*
ვაჭრობა და მომსახურება	430,008	486,500
ფიზიკური პირები	314,505	276,756
მშენებლობა	24,781	27,576
წარმოება	2,807	4,992
„სოფლის მეურნეობა“	1,883	10,847
ენერგეტიკა	809	1,626
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	120	51,677
სხვა	102,408	116,216
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	**877,321**	**976,190**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებელთა ანაბრები მოიცავდა ვაჭრობასა და მომსახურებაზე და ინდივიდუალურ სექტორებზე კლასიფიცირებულ ნაშთებს 213,011 ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბერი: 225,912 ლარი), რომლებიც გაიყინა 2015 წლის 11 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით.

15. სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული სესხებია:

კრედიტის გამცემი	*გაცემის თარიღი*	*ვადა თარიღი*	*საპროცენტო განაკვეთი*	*ვალუტა*	*თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება ლარში*	*საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*
ფინსერვისი XXI	31–მარტ–11	31–მარტ–28	5.50%	აშშ დოლარი	8,530	15,488
ფინსერვისი XXI	9–ოქტ–20	უვადო	5.50%	აშშ დოლარი	32,233	15,050
ფინსერვისი XXI	19–აპრ.–21	უვადო	5.50%	აშშ დოლარი	34,363	23,057
ქართუ ჯგუფი	24–ივნ.–19	უვადო	5.50%	აშშ დოლარი	19,459	21,703
ინტერკონსალტინგი პლუსი	17–ოქტ.–05	17–ოქტ.–27	5.50%	აშშ დოლარი	12,642	21,683
						96,981

კრედიტის გამცემი	*გაცემის თარიღი*	*ვადა თარიღი*	*საპროცენტო განაკვეთი*	*ვალუტა*	*თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება ლარში*	*საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*
ფინსერვისი XXI	31–მარტ–11	31–მარტ–27	5.50%	აშშ დოლარი	51,177	98,298
ფინსერვისი XXI	09–ოქტ.–20	უვადო	5.50%	აშშ დოლარი	32,233	16,839
ქართუ ჯგუფი	24–ივნ.–19	უვადო	5.50%	აშშ დოლარი	17,144	22,957
ინტერკონსალტინგი პლუსი	17–ოქტ.–05	17–ოქტ.–26	5.50%	აშშ დოლარი	12,642	22,936
ინტერკონსალტინგი პლუსი	22–მაისი–18	22–მაისი–43	5.50%	აშშ დოლარი	3,898	5,243
ჯორჯიან ჰოლდინგი	21–ივნ.–04	21–ივნ.–29	5.50%	აშშ დოლარი	19,200	32,766
						199,039

(ათას ლარში)

15. სუბორდინირებული ვალი (გაგრძელება)

ჯგუფის გაკოტრების ან ლიკვიდირების შემთხვევაში, ამ ვალების დაბრუნება სუბორდინირებულია სხვა კრედიტორების წინაშე ჯგუფის ვალდებულებების დაფარვის მიმართ.

2021 წლის 19 აპრილს ჯგუფმა დაფარა სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებები „ინტერკონსალტინგი პლუსთან“ და „ჯორჯიან ჰოლდინგთან“ 1,600 აშშ დოლარის და 10,000 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად.

2021 წლის 19 აპრილს ჯგუფმა შეცვალა სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებები „ფინსერვისი XXI–თან“ და „ინტერკონსალტინგი პლუსთან“. „ფინსერვისი XXI–თან“ 30,000 აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულება გაიყო 10,000 აშშ დოლარის უვადო სესხად, რომელიც აკმაყოფილებს პირველადი კაპიტალის მოთხოვნებს, და 20,000 აშშ დოლარის სესხად 2028 წლის 31 მარტამდე გაგრძელებული ვადით, რომელიც რჩება მეორადი კაპიტალის მოთხოვნების ფარგლებში. 10,000 აშშ დოლარის უვადო სესხის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 7.33%–ით განისაზღვრა. ამის შედეგად, ცვლილებების ეფექტი აისახა, როგორც განაღდებული საწესდებო კაპიტალის ზრდა 7,919 ლარით. 7,000 აშშ დოლარის სასესხო ხელშეკრულება „ინტერკონსალტინგი პლუსთან“ გაგრძელდა 2027 წლის 17 ოქტომბრამდე. ის კვლავაც აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს და შედის მეორად საზედამხედველო კაპიტალში.

2021 წლის 24 აგვისტოს ჯგუფმა დაფარა „ფინსერვისი XXI“–ის სუბორდინირებული სესხი 15,000 აშშ დოლარის ოდენობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 20,000 აშშ დოლარიდან.

ქვემოთ, ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის სუბორდინირებულ სესხებში ფინანსური საქმიანობის შედეგად ასახული ცვლილებები. ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმომდგარი ვალდებულებები ის ვალდებულებებია, რომლებისთვისაც ფულადი ნაკადები იყო ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება კლასიფიცირებული ჯგუფის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.

	1 იანვარი, 2021 წ.	*დაფარვა*	*მოდიფიკაციით განპირობებული ზარალი, აღიარებული მოგებაში ან ზარალში*	*მოდიფიკაცია შემოსულობა, აღიარებული დამატებით შეტანილ კაპიტალში*	*დამატებით შეტანილი კაპიტალი, აღიარებული თავდაპირველი აღიარებისას*	*2021 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი*	*2021 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი*	*საკურსო ზარალი 2021 წლის განმავლობაში*	*31 დეკემბერი, 2021 წ.*
სუბორდინირებული ვალი	**199,039**	(86,631)	–	–	(7,919)	9,291	(9,292)	(7,507)	**96,981**

ქვემოთ, ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის სუბორდინირებულ სესხებში ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ცვლილებები 2020 წლის განმავლობაში:

	1 იანვარი, 2020 წ.	*დაფარვა*	*მოდიფიკაციით განპირობებული ზარალი, აღიარებული მოგებაში ან ზარალში*	*მოდიფიკაცია შემოსულობა, აღიარებული დამატებით შეტანილ კაპიტალში*	*დამატებით შეტანილი კაპიტალი, აღიარებული თავდაპირველი აღიარებისას*	*2020 წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი*	*2020 წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტი*	*საკურსო ზარალი 2020 წლის განმავლობაში*	*31 დეკემბერი, 2020 წ.*
სუბორდინირებული ვალი	206,500	(32,233)	–	10,748	(15,926)	12,287	(11,987)	29,650	**199,039**

ამორტიზებული ღირებულება სუბორდინირებული სესხისა, რომელიც, სებ–ის მიხედვით, აკმაყოფილებდა მეორად კაპიტალში ჩართვის მოთხოვნას (ბაზელ III–ის საფუძველზე), შეადგენდა 37,171 ლარს, რომელიც შეესაბამებოდა 37,171 ლარს ფასს 9–ის მიხედვით (2020 წლის 31 დეკემბერი: 159,243 ლარი შეესაბამებოდა 159,243 ლარს ფასს 9–ის მიხედვით). ამორტიზებული ღირებულება სუბორდინირებული სესხისა, რომელიც, სებ–ის მიხედვით, აკმაყოფილებდა დამატებით პირველად კაპიტალში ჩართვის მოთხოვნას (ბაზელ III–ის საფუძველზე), შეადგენდა 83,635 ლარს, რომელიც შეესაბამებოდა 59,810 ლარს ფასს 9–ის მიხედვით (2020 წლის 31 დეკემბერი: 55,702 ლარი შეესაბამებოდა 40,040 ლარს ფასს 9–ის მიხედვით).

(ათას ლარში)

16. გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და თარიღი შეიცვალა 2023 წლის იანვრით. შესაბამისად, ჯგუფს აღიარებული ჰქონდა ეს გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, რომელთა რეალიზებას 2023 წლამდე ვარაუდობს. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008–2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. ეს შეიძლება მომავალში შეეხოს ისეთ ოპერაციებსა და საქმიანობასაც, რომლებიც ადრე ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ – შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედ შესაბამის კანონმდებლობას ადეკვატურად განმარტავს და რომ ჯგუფს დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.
2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგების გადასახადის ხარჯი:

	2021	*2020*
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	4,006	–
გადავადებული საგადასახადო (სარგებელი)	(640)	(1,234)
მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი	**3,366**	**(1,234)**

2021 და 2020 წლებში ჯგუფის მოგების უმეტესი ნაწილი იბეგრება 15%–იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის სარგებლის/ხარჯის შედარება ასეთია:

	2021	*2020*
დასაბეგრი მოგება	**30,023**	**8,598**
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	**4,503**	**1,290**
გადასახადით დაუბეგრავი მოგება	(924)	(846)
გამოუქვითავი ხარჯები	817	234
აუღიარებელი გადავადებული გადასახადები, რომლებიც მოქმედებს 2023 წლის შემდგომ წლებში	(1,030)	(1,912)
მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	**3,366**	**(1,234)**

(ათას ლარში)

16. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის პერიოდში ასეთია

	2019	*მოგება–ზარალის ანგარიშგებაში*	*2020*	*მოგება–ზარალის ანგარიშგებაში*	*2021*
დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი					
სხვა აქტივები	1,147	1,505	2,652	(1,451)	1,201
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	47	(41)	6	1,108	1,114
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	352	(161)	191	235	426
საიჯარო ვალდებულებები	759	(188)	571	(189)	382
ანარიცხები	478	(111)	367	(17)	350
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	364	(221)	143	(103)	40
არამატერიალური აქტივები	(63)	109	46	(39)	7
სუბორდინირებული ვალი	(576)	576	–	–	–
გადავადებული საგადასახადო აქტივი	**2,508**	**1,468**	**3,976**	**(456)**	**3,520**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(8,616)	(1,578)	(10,194)	3,417	(6,777)
სხვა ვალდებულებები	(195)	(1,137)	(1,332)	(141)	(1,473)
ძირითადი საშუალებები	(699)	(69)	(768)	311	(457)
აქტივის გამოყენების უფლება	(760)	201	(559)	188	(362)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(21)	6	(15)	(7)	(22)
მომდევნო პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი	329	2,343	2,672	(2,672)	–
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(9,962)**	**(234)**	**(10,196)**	**1,096**	**(9,091)**
გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი	**(7,454)**	**1,234**	**(6,220)**	**640**	**(5,570)**

17. საკუთარი კაპიტალი

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული, გამოშვებული და მთლიანად განაღდებული კაპიტალი 114,430 ლარს შეადგენდა, რომელიც შედგებოდა 1 ლარის ნომინალური ღირებულების 114,430,000 ჩვეულებრივი აქციისგან. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

2021 წელს ჯგუფმა გამოაცხადა და გაანაწილა 20,000 ლარის დივიდენდები (2020 წ.: ნული).

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოადგენს მშობელი კომპანიისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხების თავდაპირველი აღიარებისას, და არაარსებითად მიჩნეული მოდიფიკაციის შედეგად, მათ სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას.

(ათას ლარში)

18. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის პირობითი ვალდებულებები ასე გამოიყურება:

	2021	*2020*
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები		
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	35,322	38,040
გაცემული გარანტიები	30,951	40,513
	66,273	**78,553**
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
არაუგვიანეს 1 წლისა	–	–
1–დან 5 წლამდე	–	–
გამოკლებული: საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(969)	(833)
პირობითი ვალდებულებები	**65,304**	**77,720**

წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილების ანალიზი:

სესხების გაცემის ვალდებულება	*1–ლი სტადია*	*მე–2 სტადია*	*მე–3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**359**	**81**	**261**	**701**
ახალი დავალიანება	860	14	1,690	**2,564**
გადახდილი თანხები	(589)	(28)	(1,881)	**(2,498)**
გადატანები პირველ სტადიაზე	–	–	–	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(11)	13	(2)	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(144)	(39)	183	**–**
შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული	–	–	–	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	–	47	(122)	**(75)**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	–	**–**
სავალუტო კურსის კორექტირებები	(67)	(17)	8	**(76)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**408**	**71**	**137**	**616**

ფინანსური გარანტიები	*1–ლი სტადია*	*მე–2 სტადია*	*მე–3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**92**	**1**	**39**	**132**
ახალი დავალიანება	949	–	107	**1,056**
გადახდილი თანხები	(933)	–	(32)	**(965)**
გადატანები პირველ სტადიაზე	1	(1)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(1)	1	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	–	–	–
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	–	–	2	**2**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	–	–
სავალუტო კურსის კორექტირებები	56	–	72	**128**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**164**	**1**	**188**	**353**

(ათას ლარში)

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების ანალიზი:

სესხების გაცემის ვალდებულება	*1–ლი სტადია*	*მე–2 სტადია*	*მე–3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**145**	**33**	**107**	**285**
ახალი დავალიანება	1,997	49	2,895	**4,941**
გადახდილი თანხები	(853)	(63)	(2,438)	**(3,354)**
გადატანები პირველ სტადიაზე	362	(13)	(349)	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(10)	55	(45)	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	(599)	(7)	606	**–**
შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული	–	3	3	**6**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(353)	103	(490)	**(740)**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	–	**–**
სავალუტო კურსის კორექტირებები	(330)	(79)	(28)	**(437)**
2020 წლის 31 დეკემბერს	**359**	**81**	**261**	**701**

ფინანსური გარანტიები	*1–ლი სტადია*	*მე–2 სტადია*	*მე–3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**35**	**(1)**	**1,031**	**1,065**
ახალი დავალიანება	51	2	80	**133**
გადახდილი თანხები	(65)	(1)	(1,227)	**(1,293)**
გადატანები პირველ სტადიაზე	–	–	–	**–**
გადატანები მეორე სტადიაზე	(2)	2	–	**–**
გადატანები მესამე სტადიაზე	–	(6)	6	**–**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	–	5	19	**24**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	–	**–**
სავალუტო კურსის კორექტირებები	73	–	130	**203**
2020 წლის 31 დეკემბერს	**92**	**1**	**39**	**132**

აკრედიტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლებში ნულს შეადგენდა.

(ათას ლარში)

19. საკრედიტო ზარალის ხარჯი და სხვა გაუფასურება და ანარიცხები

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელიც ასახულია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება–ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში:

	შენიშვ-ნები	*1–ლი სტადია*	*მე–2 სტადია*	*მე–3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასურე-ბული*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	(45)	–	–	–	**(45)**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	(6)	–	–	–	**(6)**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	4,384	92	10,238	(14,733)	**(19)**
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები	8	(42)	–	–	–	**(4)**
სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		490	–	–	–	**490**
საკრედიტო ზარალის ხარჯი/(შემობრუნება) პროცენტიან აქტივებზე		**4,781**	**92**	**10,238**	**(14,733)**	**378**
სხვა ფინანსური აქტივები	12	–	–	–	274	**274**
ფინანსური გარანტიები	18	72	–	149	–	**221**
სესხების გაცემის ვალდებულება	18	50	(10)	(125)	–	**(85)**
სხვა გაუფასურების და ანარიცხების ხარჯი/(შემობრუნება), დასაკუთრებული აქტივების გარდა		**122**	**(10)**	**24**	**274**	**410**
დასაკუთრებული აქტივებზე გაუფასურება	12					**3,425**
სხვა გაუფასურება და ანარიცხები						**3,835**

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელიც ასახულია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება–ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში:

	შენიშვნა	*1–ლი სტადია*	*მე–2 სტადია*	*მე–3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ–რებული*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		31	–	–	–	**31**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		8	–	–	–	**8**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	6,667	(413)	35,229	4,183	**45,666**
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები		65	–	–	–	**65**
საკრედიტო ზარალის ხარჯი პროცენტიან აქტივებზე		**6,771**	**(413)**	**35,229**	**4,183**	**45,770**
სხვა ფინანსური აქტივები	12	–	–	1,557	1,953	**3,510**
ფინანსური გარანტიები	18	57	(1)	(989)	–	**(933)**
სესხების გაცემის ვალდებულება	18	215	50	151	–	**416**
სხვა გაუფასურება და ანარიცხები, დასაკუთრებული აქტივებისა და შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციების გარდა		**272**	**49**	**719**	**1,953**	**2,993**
დასაკუთრებულ აქტივებზე შექმნილი ანარიცხები						**(530)**
სხვა გაუფასურება და ანარიცხები						**2,463**

(ათას ლარში)

20. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	2021	*2020*
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	3,443	2,187
გაცემული გარანტიები და აკრედიტივები	1,300	847
საანგარიშსწორებო ოპერაციები	977	1,135
საკასო ოპერაციები	645	987
დოკუმენტური ოპერაციები	31	27
სხვა	733	681
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	**7,129**	**5,864**
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	(4,465)	(3,737)
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(779)	(943)
დოკუმენტური ოპერაციები	(7)	(30)
გაცემული გარანტიები და აკრედიტივები	–	–
სხვა	(84)	(28)
საკომისიო ხარჯი	**(5,335)**	**(4,738)**

21. სხვა შემოსავალი, წმინდა

სხვა წმინდა მოგება/(ზარალი) შედგება:

	2021	*2020*
წმინდა შემოსულობა დასაკუთრებული აქტივების რეალიზაციიდან	10,167	2,848
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	3,395	3,335
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	569	840
მიღებული ჯარიმა და საურავი	26	104
ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსულობა	13	28
წმინდა სადაზღვევო ზარალი	(1,470)	(1,345)
გადამზღვევლების წილი დარეგულირებულ ზარალში	(14)	–
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის ცვლილება	(7)	–
სხვა	486	(129)
სხვა წმინდა შემოსავლები, სულ	**13,165**	**5,681**

(ათას ლარში)

22. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი

ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცავს:

	2021	*2020*
ხელფასები	13,570	13,161
პრემიები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	728	691
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	**14,298**	**13,852**
კავშირგაბმულობა	4,399	4,484
ქველმოქმედებაზე გაწეული დანახარჯები	5,221	6
ტექნიკური მომსახურება და ექსპლუატაცია	655	618
დაცვა–უსაფრთხოების ხარჯები	766	804
მგზავრობისა და სამივლინებო ხარჯები	308	356
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	1,333	980
კომუნალური მომსახურება	580	523
პროფესიული მომსახურება	684	711
საოფისე მარაგები	234	162
საოპერაციო იჯარა	252	258
ანაბრის დაზღვევის საკომისიო	217	191
თანამშრომელთა გადამზადება	17	20
დანახარჯი რეკლამაზე	19	51
საწევრო შენატანები	115	94
დაზღვევა	100	105
სხვა ხარჯები	1,124	1,095
სხვა საოპერაციო ხარჯები	**16,024**	**10,458**

ჯგუფის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 2021 წლის განმავლობაში 376 იყო. ეს რიცხვი მოიცავს წამყვანი ხელმძღვანელობის საშუალოდ 7 წევრს, საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის საშუალოდ 32 წევრს და სრულ განაკვეთზე მყოფ საშუალოდ 337 სხვა თანამშრომელს.

ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2021 და 2020 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ–ის გარეშე):

	2021	*2020*
გასამრჯელო ჯგუფის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	456	369
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	17	61
სულ გასამრჯელოები და ხარჯები	**473**	**430**

22. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი (გაგრძელება)

სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის მათ მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებაში გადასახდელი გასამრჯელო და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენდა 45 ლარს (2020 წ.: 61 ლარი).

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა

შესავალი

ჯგუფის საქმიანობას ყოველთვის ახასიათებს რისკები, მაგრამ მათი მართვა ხდება იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მუდმივი პროცესებით, როგორიცაა ლიმიტების დაწესება და კონტროლის სხვა ელემენტები. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო რისკების დირექტორთან და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებთან ერთად განსაზღვრავს ჯგუფის რისკის დასაშვებ დონეს. საბჭო პასუხისმგებელია რისკის ეფექტური მართვის, მონიტორინგის და შიდა კონტროლების არსებობაზე ჯგუფის შიგნით, რომლებიც შესაბამისობაშია რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკასთან და ლიმიტებთან. სხვა ფუნქციებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთად და ცალ–ცალკე პასუხისმგებელნი არიან რისკის მართვის მძლავრი კულტურის შენარჩუნებაზე, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობისთვის.

რისკის კომიტეტი

რისკის კომიტეტი პასუხს აგებს რისკის სტრატეგიების ეფექტურობის გადახედვაზე აგრეგირებულ და ინდივიდუალურ დონეზე, აფასებს რისკის დასაშვებ დონესთან შესაბამისობას და რეკომენდაციებს აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს. ეს კომიტეტი ასევე მიმოიხილავს რისკის მართვასთან დაკავშირებულ ყველა პოლიტიკას. რისკის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, რომელთაგან ორი დამოუკიდებელია.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო პასუხს აგებს რისკის სტრატეგიების და რისკის მართვის შესაბამისი პროცესების განხორციელებასა და შენარჩუნებაზე. რისკების განსაზღვრასა და კონტროლზე საბოლოო პასუხისმგებლობა დირექტორთა საბჭოს ეკისრება. რისკების მართვას და ზედამხედველობას ახორციელებს ბანკის სხვადასხვა განყოფილება და კომიტეტი.

რისკის მართვა

რისკის მართვის განყოფილებას ევალება რისკის მართვის სისტემის დანერგვა და მართვა.

აქტივ–პასივების კომიტეტი

აქტივ–პასივების კომიტეტი პასუხისმგებელია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების, და მთლიანი ფინანსური სტრუქტურის მართვაზე. იგი ასევე პასუხისმგებელია ჯგუფის დაფინანსების, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და კაპიტალის ადეკვატურობის რისკებზე.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვის სტრუქტურა (გაგრძელება)

შიდა აუდიტი

რისკის მართვის პროცესებს მთელ ჯგუფში შემოწმებას მუდმივად უტარებს შიდა აუდიტის განყოფილება. იგი ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობას, მათ სტრუქტურას და ეფექტურობას, ასევე ჯგუფის შესაბამისობას მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნებთან და შიდა პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს რისკებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე, მართავს და ზედამხედველობას უწევს ჯგუფის სხვა განყოფილებების მიერ რისკებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს და კონტროლის ფუნქციების შესრულებას, რომლებიც უკავშირდება კონტროლის საერთო გარემოს, ხელით შესრულებული, ტექნოლოგიებზე დამოკიდებული ან კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით კონტროლის მექანიზმებს, რისკის გამიზნულად ან უნებლიეთ არასწორად შეფასებას, თაღლითობის, ან ქონების მითვისების რისკს, ინფორმაციის დაცვას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა. აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, რომელთაგან ორი დამოუკიდებელია.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

რისკის მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ჯგუფის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ჯგუფის ბიზნესსტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს. გარდა ამისა, ჯგუფი მონიტორინგს უწევს და აფასებს რისკის დასაშვებ დონეს რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით. რისკებთან დაკავშირებით ყველა განყოფილება ანგარიშვალდებულია რისკის კომიტეტის მიმართ. შესაბამისი შეხვედრები თვეში ერთხელ ტარდება.

რისკის ჭარბი კონცენტრაცია

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ჯგუფის საქმიანობის მეტ მგრძნობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისი მსესხებლები ან კონტრაჰენტები ვერ შეძლებენ თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

მსესხებლის მიერ ლიმიტების დარღვევის მონიტორინგი ხდება გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტი შეიძლება ამ ლიმიტების შეცვლის ინიციატივით გამოვიდეს. საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფი ითხოვს გირაოს და კომპანიის თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ჯგუფი თავის მომხმარებლებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ჯგუფს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება მომხმარებლებისგან ხდება გარანტიის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ჯგუფი დგას სესხის გაცემისთვის დამახასიათებელი რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

გაუფასურების შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად ჯგუფისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

დეფოლტის ალბათობა	*დეფოლტის ალბათობა* არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ სესხის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება	*დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება* არის დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის განსაზღვრული დავალიანება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელ ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (დაფარვის გრაფიკის მიხედვით ან არა), სესხის გაცემის ვალდებულებების ფარგლებში კრედიტების მოსალოდნელ ათვისებას და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხულ პროცენტს.
დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში	*დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში* არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვის შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12–თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12–თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ჯგუფი აჯგუფებს თავის სესხებს პირველ, მეორე და მესამე სტადიებად და შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

1–ლი სტადია:	სესხების თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
მე–2 სტადია:	როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ჯგუფი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.
მე–3 სტადია:	სესხები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიიჩნევა. ჯგუფი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.
შეძენილი ან შექმნილი გაუფასურე-ბული:	შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

დეფოლტის და გამოსწორების განმარტება

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მესამე სტადიაზე მყოფად (გაუფასურებულად) მიიჩნევს ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას ან კლასიფიცირებულია, როგორც „უმოქმედო“ აქტივების კლასიფიკაციის შესახებ სებ–ის რეგულაციის შესაბამისად. ჯგუფი სხვა ბანკებისგან მისაღებ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელად და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება სამუშაო დღის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

იმის ხარისხობრივი შეფასებისას, მომხმარებელს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ჯგუფი ასევე განიხილავს სხვადასხვა მოვლენას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი. ასეთი მოვლენების დადგომისას, ჯგუფი საგულდაგულოდ ამოწმებს მომხმარებლის სტატუსს, რათა, თუ მან არ შეასრულა ვალდებულება, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას მიაკუთვნოს მესამე სტადიას, ან ხომ არ არის მეორე სტადია უფრო მართებული.

ჯგუფმა განსაზღვრა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ აქტივი გამოსწორებულად ჩაითვალოს. გადაწყვეტილება იმის შესახებ, აქტივი მეორე სტადიას უნდა მიეკუთვნოს თუ პირველს, დამოკიდებულია დეფოლტის აღმოფხვრისას განახლებულ საკრედიტო რეიტინგზე, და იმაზე, ხომ არ მიანიშნებს ეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობის მოდელი

იმისათვის, რომ თითოეული ჯგუფისთვის დეფოლტის ალბათობა განსაზღვროს, ჯგუფი იყენებს მიგრაციის მატრიცებს ე. წ. „მარკოვის ჯაჭვის“ მოდელზე დაყრდნობით. 12–თვიანი პერიოდის ანალიზის დასაწყისში მსესხებლები ჯგუფდებიან გადავადებული დღეების რაოდენობისა და სესხებზე სებ–ის რეგულაციის შესაბამისად შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ოდენობის მიხედვით. ანალიზი ტარდება ყოველი 12–თვიანი პერიოდისთვის 2014 წლის დეკემბრიდან საანგარიშგებო თარიღამდე. მოდელში გამოყენებული საბოლოო დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს დეფოლტის ალბათობების ისტორიული 12–თვიანი პერიოდის საშუალო შეწონილს.

ჯგუფმა საპროგნოზო ინფორმაციის გავლენა კოლექტიური შეფასების მოდელზე შეაფასა არაარსებითად, შესაბამისად, შედეგები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში არ აუსახავს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეული ჯგუფისთვის საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%–ით ზრდა გამოიწვევს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას 0.64%–ით, რაც შეადგენს 929 ლარს, ხოლო თითოეული ჯგუფის საშუალო დეფოლტის ალბათობის შემცირება 10%–ით გამოიწვევს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას 2.19%–ით, რაც შეადგენს 3,155 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: თითოეული ჯგუფისთვის საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%–ით ზრდა გამოიწვევს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას 0.40%–ით, რაც შეადგენს 639 ლარს, ხოლო თითოეული ჯგუფის საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%–ით შემცირება გამოიწვევს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას 1.97%–ით, რაც შეადგენს 3,125 ლარს).

დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მოდელი

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია ზარალი დეფოლტის შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს გადაუხდელობის (დეფოლტის) შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის შეფასებას. მის შესაფასებლად, სეგმენტებად დაყოფილი გადაუხდელი დავალიანებები მცირდება დაგირავებული ანაბრებით და დაგირავებული ძირითადი საშუალებების დისკონტირებული სალიკვიდაციო ღირებულებით, დავალიანების 2.5–წლიანი ამოღების ვადისა და უზრუნველყოფის საგნის საბაზრო დაბალი ღირებულების (დისკონტის) გამოყენებით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გავლენა ძალიან არსებითია და ჯგუფის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დიდად არის დამოკიდებული უზრუნველყოფის საგნის ღირებულებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემცირებული ღირებულებით შეფასების 10%–იანი ზრდა იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას 1.97%–ით, რაც შეადგენს 2,846 ლარს, ხოლო 10%–იანი შემცირება იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას 1.97%–ით, რაც შეადგენს 2,839 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: შემცირებული ღირებულებით შეფასების 10%–იანი ზრდა იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას 1.81%–ით, რაც შეადგენს 2,864 ლარს, ხოლო 10%–იანი შემცირება იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას 1.80%–ით, რაც შეადგენს 2,853 ლარს).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დავალიანების ამოღების ვადის 10%–ით (სამი თვე) ზრდა იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას 4.19%–ით, რაც შეადგენს 6,046 ლარს, ხოლო 10%–ით (სამი თვე) შემცირება იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას 4.14%–ით, რაც შეადგენს 5,976 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: დავალიანების ამოღების ვადის 10%–ით (სამი თვე) ზრდა იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას 3.86%–ით, რაც შეადგენს 6,116 ლარს, ხოლო 10%–ით შემცირება (სამი თვე) იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას 3.93%–ით, რაც შეადგენს 6,220 ლარს).

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების მოდელი

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს იმ ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ხდება გაუფასურების გამოთვლა, და ითვალისწინებს როგორც კლიენტის უნარს, გაზარდოს დავალიანების მოცულობა დეფოლტის მოახლოებისას, ისე მის უნარს, დავალიანება ვადაზე ადრე დაფაროს. პირველი სტადიის სესხის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად ჯგუფი აფასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, რათა გამოიანგარიშოს 12–თვიანი საკრედიტო ზარალი. მეორე და მესამე სტადიების, ასევე შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის მოვლენების გათვალისწინებით.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს ყველა აქტივს, რომლებზეც მოსალოდნელია საკრედიტო ზარალი. იმის დასადგენად, ინსტრუმენტს ან ინსტრუმენტების პორტფელს ეხება თუ არა 12–თვიანი საკრედიტო ზარალი ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ჯგუფი აფასებს, მნიშვნელოვნად ხომ არ არის გაზრდილი საკრედიტო რისკი აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ჯგუფი ასევე მიმართავს შეფასების მეორად, ხარისხობრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორიცაა, მაგალითად, მომხმარებლის/სესხის შეყვანა საყურადღებო სიაში ან ანგარიშის რესტრუქტურიზაცია კრედიტუნარიანობის გამომწვევი მოვლენის დადგომის გამო. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შეფასებისას მსგავსი აქტივების ჯგუფისთვის, ჯგუფი იყენებს შეფასების იგივე პრინციპებს იმის განსასაზღვრად, ხომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

თავის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე კოვიდ–19–ის მიმდინარე პანდემიის პოტენციური გავლენის შესაფასებლად ჯგუფმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. ჯგუფმა პორტფელის ანალიზი ჩაატარა კოვიდ–19–თან დაკავშირებული სტრესული სცენარების გამოყენებით, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ბანკთან („სებ“) იყო შეთანხმებული. პორტფელის მიმოხილვა მოხდა სტრესულ პირობებში და მოიცვა ყველა მსესხებელი და სექტორი.

სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ჯგუფის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაჰენტები არიან ფინანსური მომსახურების გამწევი დაწესებულებები, ბანკები. ამ ურთიერთობებისთვის ბანკის რისკის მართვის განყოფილება აანალიზებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორიცაა ფინანსური ინფორმაცია და სხვა გარე მონაცემები, მაგალითად, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული გარე რეიტინგები. ჯგუფის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით არის შეფასებული, წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო თამასუქებით და სადეპოზიტო სერტიფიკატებით, ამიტომ ამ ინსტრუმენტების დეფოლტის ალბათობების შეფასება ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის საფუძველზე ხდება.

კორპორატიული სესხები

კორპორატიული სესხების შემთხვევაში, მსესხებლებს აფასებენ ჯგუფის საკრედიტო რისკის განყოფილების სპეციალისტები. საკრედიტო რისკის შეფასება ითვალისწინებს სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციას, როგორიცაა:

- ისტორიული ფინანსური ინფორმაცია, კლიენტის მიერ მომზადებულ პროგნოზებთან და ბიუჯეტებთან ერთად. ეს ფინანსური ინფორმაცია მოიცავს რეალიზებულ და მოსალოდნელ შედეგებს, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის და სხვა შესაბამის კოეფიციენტებს, რომლებითაც ფასდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა. ზოგიერთი ეს მაჩვენებელი ჩადებულია კლიენტებთან შეთანხმების პირობებში და ამიტომ, მეტი ყურადღებით ფასდება;
- მესამე მხარეებისგან კლიენტების შესახებ მიღებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია. ეს გულისხმობს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს, დამოუკიდებელი ანალიტიკოსების ანგარიშებს, საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ობლიგაციების ფასებს, პრესრელიზებს და სტატიებს;
- ნებისმიერი მაკროეკონომიკური ან გეოპოლიტიკური ინფორმაცია, მაგალითად, მშპ–ის ზრდა, რომელიც აქტუალურია კონკრეტული დარგისთვის და გეოგრაფიული სეგმენტებისთვის, რომლებშიც კლიენტი ეწევა საქმიანობას;
- ნებისმიერი სხვა ობიექტური და გადამოწმებადი ინფორმაცია კლიენტის მმართველობის ხარისხისა და უნარების შესახებ, რაც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობას.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საცალო დაკრედიტება

საცალო სესხების შემთხვევაში, მსესხებლებს აფასებენ ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების სპეციალისტები. საკრედიტო რისკის შეფასება ითვალისწინებს სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციას, როგორიცაა:

- *ისტორიული ფინანსური ინფორმაცია პროგნოზირებულ ყოველთვიურ ფულად ნაკადებთან ერთად. ეს ფინანსური ინფორმაცია მოიცავს რეალიზებულ და მოსალოდნელ შედეგებს და ყველა სხვა რელევანტურ კოეფიციენტს (ანუ სესხის მომსახურების კოეფიციენტი, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში), რომლებითაც ფასდება მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობა;*
- *მესამე მხარეებისგან კლიენტების შესახებ მიღებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია. ეს მოიცავს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს;*
- *ნებისმიერი სხვა ობიექტური და გადამოწმებადი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია კლიენტს მომავალში ფულადი ნაკადების მიღება.*

კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფება

ჯგუფი ქვემოთ მოყვანილ ფაქტორებზე დაყრდნობით ან კოლექტიურად, ან ინდივიდუალურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

აქტივების კლასებში, რომლებისთვისაც ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს გამოითვლის ინდივიდუალურად, შედის დავალიანებები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შემენილ ან შექმნილი გაუფასურებული, როდესაც ჩამოიწერა თავდაპირველი სესხი და რესტრუქტურიზაციის შედეგად მოხდა ახალი სესხის აღიარება.

ყველა დანარჩენი კლასის აქტივები, სადაც ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის კოლექტიურად ყველა დანარჩენი აქტივების კლასებისთვის, გარდა იმ აქტივებისა, რომლებისაც ინდივიდუალურად აფასებს.

ჯგუფი ამ სესხებს აჯგუფებს უფრო მომცრო ერთგვაროვან პორტფელებად, სესხების შიდა და გარე მახასიათებლების ერთობლიობის საფუძველზე, მაგალითად, გადაცილებული ვადების, პროდუქტის ტიპის ან მსესხებლის საოპერაციო სეგმენტის მიხედვით.

საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები

თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ჯგუფი მთელ რიგ საპროგნოზო ინფორმაციას ეყრდნობა და მათგან იღებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

- მშპ–ის ზრდა;
- ინფლაციის ტემპი;
- ლარი/აშშ დოლარის სავალუტო კურსის ცვლილება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელები შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს ბაზრის ყველა მახასიათებელს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. ამის მხედველობაში მისაღებად, დროებითი შესწორებების სახით ხდება ხარისხობრივი კორექტირებები ან განახლებები, როდესაც ეს სხვაობები საკმაოდ არსებითია.

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იღებს სებ–ის, საქსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, World and Regional Economic Outlooks–ების, S&P Global Ratings–ის და სხვ. მიერ გამოქვეყნებული წყაროებიდან. ჯგუფის რისკის მართვის განყოფილების ექსპერტები განსაზღვრავენ სხვადასხვა სცენარისთვის მისანიჭებელ წონებს. ცხრილებში მოცემულია ძირითადი საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები/დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ სცენარებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. „მომდევნო წლების“ სვეტში რიცხვები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალო არითმეტიკულს და ამიტომ, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სცენარისთვის ერთი და იგივეა.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მთავარი ფაქტორები	*მოსალოდ–ნელი საკრედიტო ზარალის სცენარი*	*მინიჭებული ალბათობები, %*	*2021*	*2022*	*2023*	*მომდევნო წლები*
მშპ–ის ზრდა, %						
	ოპტიმისტური	25%	6.00%	5.00%	4.50%	4.50%
	საბაზისო სცენარი	50%	5.00%	4.00%	4.50%	4.50%
	პესიმისტური	25%	2.00%	4.00%	5.00%	5.00%
აშშ დოლარი/ლარის სავალუტო კურსი						
	ოპტიმისტური	25%	3.02	2.97	2.93	2.93
	საბაზისო სცენარი	50%	3.10	3.10	3.10	3.10
	პესიმისტური	25%	3.28	3.23	3.17	3.17
ინფლაციის ტემპი, %						
	ოპტიმისტური	25%	5.50%	3.00%	3.00%	3.00%
	საბაზისო სცენარი	50%	7.00%	2.50%	3.00%	3.00%
	პესიმისტური	25%	8.00%	4.00%	3.00%	3.00%

პროგნოზირებული ურთიერთდამოკიდებულება ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და დეფოლტის და ზარალის კოეფიციენტებს შორის სესხის პორტფელებზე შემუშავდა ბოლო ხუთი წლის ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ჯგუფის მაკროეკონომიკური მოდელის მიხედვით, არ არსებობს მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და სესხის პორტფელის ხარისხს შორის.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივის კლასების მიხედვით

ცხრილში წარმოდგენილია შიდა და გარე რეიტინგები, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად და ასევე კავშირი შიდა რეიტინგებსა და საკრედიტო ხარისხის კატეგორიებს შორის, რომლებიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილებშია ასახული:

	შიდა რეიტინგი	*სებ–ის კლასიფიკაცია*
მაღალი შეფასება	1	სტანდარტული
	2	
	3	
სტანდარტული შეფასება	4	სტანდარტული
სტანდარტულზე დაბალი შეფასება	5	საყურადღებო
გაუფასურებული	6	სტანდარტულზე დაბალი, საეჭვო, ზარალი

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური აქტივების სხვადასხვა კლასის საკრედიტო ხარისხს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 2021 წ.	*შენიშვნა*		*მაღალი შეფასება*	*სტანდარ–ტული შეფასება*	*სტანდარ–ტულზე დაბალი შეფასება*	*გაუფასუ–რებული*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	1–ლი სტადია	54,677	1,239	–	–	**55,916**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	1–ელი სტადია	195,855	–	–	–	**195,855**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	7						
		1–ელი სტადია	284,747	198,433	89,975	9,481	**582,636**
		მე–2 სტადია	12,489	12,280	7,559	8,500	**40,828**
		მე–3 სტადია	3,064	–	7,883	239,383	**250,330**
კორპორატიული სესხები		შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ–რებული	–	–	–	16,651	**16,651**
		1–ელი სტადია	17,376	410	1,911	461	**20,158**
		მე–2 სტადია	–	–	1,824	112	**1,936**
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		მე–3 სტადია	–	–	153	5,239	**5,392**
სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული	8	1–ელი სტადია	23,539	18,629	–	–	**42,168**
	18	1–ელი სტადია	16,657	10,880	5,262	1,313	**34,112**
		მე–2 სტადია	202	–	24	55	**281**
სესხების გაცემის ვალდებულება		მე–3 სტადია	–	–	–	313	**313**
	18	1–ელი სტადია	8,513	9,295	8,493	–	**26,301**
		მე–2 სტადია	–	–	–	85	**85**
ფინანსური გარანტიები		მე–3 სტადია	–	–	4,019	193	**4,212**
სულ			**617,119**	**251,166**	**127,103**	**281,786**	**1,277,174**

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური აქტივების სხვადასხვა კლასის საკრედიტო ხარისხს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 2020 წ.	*შენიშვნა*		*მაღალი შეფასება*	*სტანდარ–ტული შეფასება*	*სტანდარ–ტულზე დაბალი შეფასება*	*გაუფასუ–რებული*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	1–ლი სტადია	104,922	6,000	–	–	**110,922**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	1–ლი სტადია	211,683	–	–	–	**211,683**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	7						
		1–ლი სტადია	364,644	266,895	4,651	6,011	**642,201**
		მე–2 სტადია	–	21,328	18,285	10,743	**50,356**
		მე–3 სტადია	20,218	–	8,297	238,268	**266,783**
კორპორატიული სესხები		შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ–რებული	–	–	–	43,216	**43,216**
		1–ლი სტადია	19,420	253	805	–	**20,478**
		მე–2 სტადია	–	–	2,948	–	**2,948**
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		მე–3 სტადია	–	–	–	5,858	**5,858**
სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული	8	1–ლი სტადია	33,461	19,508	–	–	**52,969**
	18	1–ლი სტადია	20,573	14,615	993	–	**36,181**
		მე–2 სტადია	52	31	37	196	**316**
სესხების გაცემის ვალდებულება		მე–3 სტადია	5	–	–	837	**842**
	18	1–ლი სტადია	34,371	1,272	40	127	**35,810**
		მე–2 სტადია	–	–	–	–	**–**
ფინანსური გარანტიები		მე–3 სტადია	40	–	–	4,531	**4,571**
სულ			**809,389**	**329,902**	**36,056**	**309,787**	**1,485,134**

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე–7 შენიშვნა.

ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და სასესხო დავალიანება ფასდება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები გამოითვლება სესხების ანალოგიურად.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2021				*2020*			
	საქართ-ველო	*ეთგო*	*სხვა არა–ეთგო*	*სულ*	*საქართ-ველო*	*ეთგო*	*სხვა არა–ეთგო*	*სულ*
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	78,118	1,233	3,553	**82,904**	128,285	6,383	3,733	**138,401**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	191,145	4,556	154	**195,855**	206,703	4,816	164	**211,683**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	900,862	1,021	16,048	**917,931**	1,007,251	1,959	22,630	**1,031,840**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	51,266	–	–	**51,266**	62,338	–	–	**62,338**
სხვა ფინანსური აქტივები	3,096	–	–	**3,096**	4,375	–	–	**4,375**
	1,224,487	**6,810**	**19,755**	**1,251,052**	**1,408,952**	**13,158**	**26,527**	**1,448,637**
ვალდებულებები								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15	–	–	**15**	9	–	–	**9**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	655,784	17,077	204,460	**877,321**	745,045	15,126	216,019	**976,190**
საიჯარო ვალდებულებები	3,171	–	–	**3,171**	4,575	–	–	**4,575**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,134	–	–	**3,134**	9,761	–	–	**9,761**
სუბორდინირებული ვალი	96,981	–	–	**96,981**	199,039	–	–	**199,039**
	759,085	**17,077**	**204,460**	**980,622**	**958,429**	**15,126**	**216,019**	**1,189,574**
წმინდა აქტივები/ (ვალდებულებები)	**465,402**	**(10,267)**	**(184,705)**	**270,430**	**450,523**	**(1,968)**	**(189,492)**	**259,063**

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა.

ლიკვიდურობის რისკებს ყოველთვიურად აკონტროლებს აქტივ–პასივების კომიტეტი ვადიანობის ანალიზის მეშვეობით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომდევნო ფინანსური პერიოდისთვის. არსებული ლიკვიდურობა იმართება სახაზინო განყოფილების მიერ, რომელიც გარიგებებს აწარმოებს ფულად ბაზრებზე არსებული ლიკვიდურობის მხარდასაჭერად და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციისთვის.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად, ჯგუფი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასებით, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის განუყოფელი ნაწილია. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტს ვადამოსული სახსრების მინიმალურ წილზე, რომლის ანაბრიდან გატანაც შესაძლებელია და ბანკთაშორისი და სხვა ნასესხები სახსრების მინიმალურ ოდენობაზე, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ანაბრებიდან გატანების უზრუნველსაყოფად, მოთხოვნის გაუთვალისწინებელი დონის შემთხვევაში.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი აფასებს და ზედამხედველობს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტისა და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის ჩათვლით. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება ლარისთვის, უცხოური ვალუტისთვის და ორივესთვის ერთობლივად. მინიმალური სავალდებულო განაკვეთებია: ლარში სავალდებულოა მინიმუმ 75% ან მეტი, აშშ დოლარისთვის – 100% და იგივე განაკვეთი საერთო კოეფიციენტისთვის. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტები იყო:

	2021, %			*2020, %*		
	ლარი	*უცხოური ვალუტა*	*სულ*	*ლარი*	*უცხოური ვალუტა*	*სულ*
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (მთლიანი ლიკვიდური აქტივები / წმინდა ფულადი ნაკადები)	237%	159%	**170%**	278%	208%	**219%**

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი აფასებს ჯგუფისთვის ხელმისაწვდომ სტაბილურ დაფინანსებას და სავალდებულო სტაბილურ დაფინანსებას. კოეფიციენტის მინიმალური სავალდებულო ოდენობა, განურჩევლად ვალუტისა, არის 100%. 2021 ფინანსური წლის ბოლოსთვის კოეფიციენტი ასე გამოიყურებოდა:

	2021, %	*2020, %*
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება / სავალდებულო სტაბილური დაფინანსება)	124%	124%

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა ჯგუფი მოელის, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ჯგუფს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ჯგუფის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3–დან 12 თვემდე*	*1–დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15	–	–	–	**15**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	192,723	272,638	343,489	139,705	**948,555**
საიჯარო ვალდებულებები	450	1,350	1,709	–	**3,509**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,134	–	–	–	**3,134**
სუბორდინირებული ვალი	1,333	4,000	21,331	208,763	**235,427**
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**197,655**	**277,988**	**366,529**	**348,468**	**1,190,640**

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3–დან 12 თვემდე*	*1–დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	9	–	–	–	**9**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	292,631	293,753	329,670	146,656	**1,062,710**
საიჯარო ვალდებულებები	445	1,334	3,470	–	**5,249**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9,507	254	–	–	**9,761**
სუბორდინირებული ვალი	2,955	8,866	47,288	330,393	**389,502**
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**305,547**	**304,207**	**380,428**	**477,049**	**1,467,231**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სახელშეკრულებო ვადის ამოწურვას ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოუყენებელი სესხის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება.

	შენიშვნა	*3 თვეზე ნაკლები*	*3–დან 12 თვემდე*	*1–დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
2021	18	9,105	30,451	24,867	1,850	66,273
2020	18	16,239	35,505	23,938	2,871	**78,553**

ჯგუფის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. ჯგუფს სებ–ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

ქვედა ცხრილებში მოცემულია ვალუტები, რომლებშიც ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა 31 დეკემბრის მდგომარეობით თავის ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებით სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი მოძრაობის ეფექტს მოგება–ზარალის ანგარიშგებაზე, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება მოგება–ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება–ზარალის ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ვალუტა	*სავალუტო კურსის ცვლილება, 2021*	*ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2021*	*სავალუტო კურსის ცვლილება, 2020*	*ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2020*
აშშ დოლარი	20%/(20%)	(1,198)/1,198	20%/(20%)	(2,185)/2,185
ევრო	20%/(20%)	848/(848)	20%/(20%)	226/(226)

წინასწარ გადახდის რისკი

წინასწარი გადახდების რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ჯგუფის მომხმარებლები ან კონტრაჰენტები იხდიან, ან თხოულობენ გადახდას მოსალოდნელ პერიოდზე ადრე, ან გვიან.

ეფექტი ერთი წლის დასაბეგრ მოგებაზე იმ შემთხვევაში, თუ წლის დასაწყისში წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი გადასახდელი ფინანსური ინსტრუმენტების 10%, ხოლო ყველა სხვა ცვლადი უცვლელია, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

	წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირება
2021	8,497
2020	9,743

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ჯგუფის მოგება–ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

მოგება–ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა არის საპროცენტო განაკვეთის ნავარაუდევი ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 31 დეკემბრისთვის ფლობილ ცვლადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს.

ვალუტა	*ზრდა/(კლება) საბაზისო ერთეულებში 2021*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2021*
ლარი	100/(100)	1,625/(1,625)
ევრო	100/(100)	229/(229)
აშშ დოლარი	100/(100)	557/(557)

ვალუტა	*ზრდა/(კლება) საბაზისო ერთეულებში 2020*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2020*
ლარი	100/(100)	1,832/(1,832)
ევრო	100/(100)	278/(278)
აშშ დოლარი	100/(100)	301/(301)

(ათას ლარში)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ჯგუფი შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებისა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტის გამოყენებას.

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

შემდეგ ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი იერარქიული დონეების მიხედვით:

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*დონე 1*	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ*
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	82,904	–	–	**82,904**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	195,855	–	**195,855**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	–	–	996,697	**996,697**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით	16,892	24,032	–	**40,924**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით – წილობრივი ფასიანი ქაღალდები	–	–	57	**57**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით – სავალო ფასიანი ქაღალდები	–	–	9,070	**9,070**

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	სამართლიანი ღირებულების შეფასება, შემდეგის გამოყენებით:			
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*დონე 1*	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ*
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	15	–	**15**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	–	–	881,396	**881,396**
საიჯარო ვალდებულებები	–	–	3,171	**3,171**
სუბორდინირებული ვალი	–	–	96,981	**96,981**

	სამართლიანი ღირებულების შეფასება, შემდეგის გამოყენებით:			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*დონე 1*	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ*
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	138,401	–	–	**138,401**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	211,683	–	**211,683**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	–	–	1,130,021	**1,130,021**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით	18,434	41,886	–	**60,320**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით – წილობრივი ფასიანი ქაღალდები	–	–	57	**57**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით – სავალო ფასიანი ქაღალდები	–	–	9,070	**9,070**

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*დონე 1*	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ*
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	9	–	**9**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	–	–	980,671	**980,671**
საიჯარო ვალდებულებები	–	–	4,575	**4,575**
სუბორდინირებული ვალი	–	–	199,039	**199,039**

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, 2021 წლის განმავლობაში (133)–ით შეიცვალა.

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	საბალანსო ღირებულება, 2021 წ.	*სამართლიანი ღირებულება 2021 წ.*	*აუღიარებელი შემოსულობა/ (ზარალი) 2021 წ.*	*საბალანსო ღირებულება, 2020 წ.*	*სამართლიანი ღირებულება 2020 წ.*	*აუღიარებელი შემოსულობა/ (ზარალი) 2020 წ.*
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	82,904	82,904	–	138,401	138,401	–
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	195,855	195,855	–	211,683	211,683	–
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	917,931	996,697	78,766	1,031,840	1,130,021	98,181
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	42,140	40,924	(1,216)	52,969	60,320	7,351
სხვა ფინანსური აქტივები	3,096	3,096	–	4,375	4,375	–
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15	15	–	9	9	–
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	877,321	881,396	(4,075)	976,190	980,671	(4,481)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,023	3,023	–	7,804	7,804	–
საიჯარო ვალდებულებები	3,171	3,171	–	4,575	4,575	–
სუბორდინირებული ვალი	96,981	96,981	–	199,039	199,039	–
სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			**73,475**			**101,051**

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებს და შემნახველ ანგარიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე კონკრეტული ვადები.

(ათას ლარში)

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

მომხმარებლებზე გაცემული სესხების, მომხმარებელთა ანაბრების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების და მათ წინაშე დავალიანების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

25. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ჯგუფის საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების შესახებ იხილეთ 23–ე შენიშვნა „რისკის მართვა“.

	2021			*2020*		
	ერთი წლის განმავლობაში	*ერთ წელზე მეტ ვადაში*	*სულ*	*ერთი წლის განმავლობაში*	*ერთ წელზე მეტ ვადაში*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	82,904	–	**82,904**	138,401	–	**138,401**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	190,368	5,487	**195,855**	205,844	5,839	**211,683**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	454,482	463,449	**917,931**	435,270	596,570	**1,031,840**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	13,617	37,649	**51,266**	19,239	43,099	**62,338**
ძირითადი საშუალებები	–	12,934	**12,934**	–	11,939	**11,939**
აქტივის გამოყენების უფლება	–	2,767	**2,767**	–	4,184	**4,184**
არამატერიალური აქტივები	–	3,913	**3,913**	–	3,561	**3,561**
გადავადებული საგადასახადო აქტივი	–	9	**9**	–	83	**83**
მოგების გადასახადის აქტივები	–	–	**–**	7,333	–	**7,333**
სხვა აქტივები	13,910	70,645	**84,555**	10,939	61,169	**72,108**
სულ	**755,281**	**596,853**	**1,352,134**	**817,026**	**726,444**	**1,543,470**
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15	–	**15**	9	–	**9**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	453,152	424,169	**877,321**	576,061	400,129	**976,190**
ანარიცხები	654	1,681	**2,335**	558	1,887	**2,445**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	3,211	–	**3,211**	–	–	**–**
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	–	5,579	**5,579**	–	6,303	**6,303**
საიჯარო ვალდებულებები	1,547	1,624	**3,171**	1,407	3,168	**4,575**
სხვა ვალდებულებები	10,636	–	**10,636**	16,226	–	**16,226**
სუბორდინირებული ვალი	20	96,961	**96,981**	21	199,018	**199,039**
სულ	**469,235**	**530,014**	**999,249**	**594,282**	**610,505**	**1,204,787**
წმინდა	**286,046**	**66,839**	**352,885**	**222,744**	**115,939**	**338,683**

(ათას ლარში)

26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24–ის „*დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე ნაშთები ასეთია:

	2021			
	მშობელი კომპანია	*საერთო კონტროლს დაქვემდება–რებული საწარმოები*	*სხვა დაკავშირებული მხარეები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვა–ნელობა*
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი	–	35,816	31,312	521
(მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი)	–	(368)	(322)	(4)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	(243)	(7,270)	(23,005)	(286)
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	–		89	–
სხვა აქტივები	–	–	178	–
სუბორდინირებული ვალი	–	(96,981)	–	–
გაცემული გარანტიები	–	(1,278)	(236)	1
აქტივის გამოყენების უფლება	–	2,418	296	–
საიჯარო ვალდებულებები	–	(2,759)	(357)	–

	2020			
	მშობელი კომპანია	*საერთო კონტროლს დაქვემდება–რებული საწარმოები*	*სხვა დაკავშირებული მხარეები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვა–ნელობა*
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი	11,505	30,681	41,469	522
(მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი)	(100)	(246)	(319)	(2)
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	(377)	(9,129)	(48,076)	(441)
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	–	–	151	–
სხვა აქტივები	–	–	178	–
სუბორდინირებული ვალი	–	(199,039)	–	–
გაცემული გარანტიები	–	(4,762)	(249)	(1)
აქტივის გამოყენების უფლება	–	3,643	444	–
საიჯარო ვალდებულებები	–	(3,975)	(503)	–

(ათას ლარში)

26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი:

	2021				*2020*			
	მშობელი კომპანია	*საერთო კონტროლს დაქვემდე–ბარებული საწარმოები*	*სხვა დაკავში–რებული მხარეები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვა–ნელობა*	*მშობელი კომპანია*	*საერთო კონტროლს დაქვემდე–ბარებული საწარმოები*	*სხვა დაკავში–რებული მხარეები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვა–ნელობა*
საპროცენტო შემოსავალი								
მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან	444	3,109	3,132	62	162	3,068	5,145	53
მომხმარებლების მიმართ ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	–	(52)	(741)	(8)	–	(34)	(202)	(10)
სუბორდინირებული ვალის საპროცენტო ხარჯი	–	(9,291)	–	–	–	(12,287)		–
ქველმოქმედება და სპონსორობაზე	(5,000)		(200)	–	–	–	–	–
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მოზიდული მთლიანი პრემია	–		1,061	–	–	–	(1,012)	–
მთლიანი გამომუშავებული პრემია	–		1,075	–	–	–	(1,049)	–
სადაზღვევო მოთხოვნები და ზარალის რეგულირების ხარჯები	–		(150)	–	–	–	(153)	–
საკომისიო შემოსავალი	4	90	180	1	12	219	221	2
საკომისიო ხარჯი	–	(5)	(2)	–	–	–	–	–
სხვა შემოსავალი	–	–	–	–	–	–		–
სხვა ხარჯები	–	(251)	(35)	–	–	–	(209)	–
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	–	(330)	(42)	–	–	(428)	(56)	–

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2021	*2020*
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	1,484	1,449

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილი იყო ათი წევრით და შედგებოდა ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოსა და ჯგუფის სხვა აღმასრულებელი პირებისგან.

27. კაპიტალის ადეკვატურობა

ჯგუფი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, ბანკი და ჯგუფი სრულად აკმაყოფილებდნენ ყველა გარე კაპიტალის მოთხოვნას.

ჯგუფის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია ჯგუფის შესაბამისობის უზრუნველყოფა სებ–ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებთან და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება წარმატებული ბიზნესის წარმოებისა და აქციონერთათვის მაქსიმალური ღირებულების შექმნის უზრუნველსაყოფად.

ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლების მიზნები, სტრატეგია და პროცესები არ შეცვლილა.

(ათას ლარში)

27. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ–ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

საზედამხედველო კაპიტალი შედგება ძირითადი პირველადი კაპიტალისაგან, რომელიც, შედგება აქციებისაგან, სარეზერვო ფონდისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან, მინუს ბანკის სააქციო კაპიტალში ასახული აქტივების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა და არამატერიალური აქტივები. საზედამხედველო კაპიტალის მეორე კომპონენტი დამატებითი პირველადი კაპიტალია, სადაც შედის უვადო სუბორდინირებული სესხები და მეორადი კაპიტალი, მათ შორის საერთო რეზერვები (არაუმეტეს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%–ისა) და სუბორდინირებული გრძელვადიანი ვალი.

2017 წლის დეკემბერში სებ–მა ცვლილებები შეიტანა რეგულაციებში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მათ შორის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში, და შემოიღო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის, სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების ახალი მოთხოვნები, ასევე პილარ 2–ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ–ის მოთხოვნით, ჯგუფი ვალდებულია, შეინარჩუნოს მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, და ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 20.29%, 13.19% და 10.51%–ის ოდენობით (შესაბამისი თანმიმდევრობით) (2020 წლის დეკემბერი: საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი, და ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 21.43%, 12.08% და 9.68%–ის ოდენობით (შესაბამისი თანმიმდევრობით)).

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ჯგუფის მიერ სებ–ის საალრიცხვო წესების და კაპიტალის ადეკვატურობის ნორმების მიხედვით მომზადებულ ანგარიშებზე დაყრდნობით ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2021 წ.	*31 დეკემბერი, 2020 წ.*
ძირითადი პირველადი კაპიტალი	**189,240**	**171,026**
დამატებითი პირველადი კაპიტალი	83,635	55,702
პირველადი კაპიტალი	**272,875**	**226,728**
სუბორდინირებული ვალი	37,171	159,243
სესხებზე შესაძლო დანაკარგების ზოგადი რეზერვი (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%–მდე)	12,351	14,012
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**322,397**	**400,583**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**1,299,144**	**1,448,539**
ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	14.57%	11.81%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	21.00%	15.65%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	**24.82%**	**27.65%**

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფი სრულად აკმაყოფილებდა ყველა გარე კაპიტალის მოთხოვნას.

28. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

24 თებერვალს რუსეთმა სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო უკრაინაში. ამის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ რუსეთს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სავაჭრო სანქციები დაუწესა და წელს კიდევ უფრო მკაცრი სანქციებია მოსალოდნელი. ამ ნაბიჯებმა რუსეთზე უდიდესი უარყოფითი გავლენა მოახდინა. შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და ევროპის რეგიონში. როგორც მოსალოდნელია, ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება გლობალურ ეკონომიკაზე. ბოლოდროინდელი მოვლენები, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს საქართველოზეც, როგორც რეგიონის განუყოფელ ნაწილზე. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია ჯგუფის საქმიანობაზე მისი გავლენის სარწმუნოდ შეფასება. ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯგუფს არ აქვს უკრაინასა და რუსეთთან დაკავშირებული არსებითი პირდაპირი რისკი. ჯგუფი უკრაინაში მიმდინარე ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შედგენის შემდგომ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენად.